საჯარო ბიბლიოთეკა
თბილისი
1804

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
28 თებერვალი
1941 წ.
№ 50 (6055)
ფასი 10 კაპ.

## სსრ კავშირის ძლიერების ზრდის ბიუჯეტი

გუშინ კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესია. წარსულმა — VII სესიამ — მიიღო კანონები მოკავშირე მოლდავეთის სს რესპუბლიკის შექმნისა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში ლიტვის სს რესპუბლიკის, ლატვიის სს რესპუბლიკისა და ესტონეთის სს რესპუბლიკის მიღების შესახებ. ამ სესიაზე ჩამოვიდნენ ახალი დეპუტატები, არჩეულნი ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკების ხალხთა მიერ. სსრ კავშირის სახელმწიფო ღერბზე კომუნისტური მანიფესტის სიტყვები „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ იელვარებს მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკების 16 ენაზე!

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ, რომელმაც მხოლოდ ამ რამდენიმე დღის წინათ დაამთავრა თავისი მუშაობა, მოიწონა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ მიღებული **გრანდიოზული გეგმა** ჩვენი ქვეყნის **სახალხო მეურნეობის განვითარებისა** მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წელში. გუშინ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას მთავრობამ განსახილველად წარუდგინა **1941 წლის საფინანსო გეგმა,** რომელიც მთლიანად და სავსებით დაფუძნებულია პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებზე და მოწოდებულია საჭირო საშუალებებით უზრუნველჰყოს სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულება.

ფინანსთა სახალხო კომისარმა ამხ. ზვერევმა სესიაზე გაკეთებულ მოხსენებაში დახატა სურათი სოციალისტური სახელმწიფოს განუწყვეტლივ მზარდი ფინანსიური ძლიერებისა, რომელიც ასახავს ჩვენი სამშობლოს სამეურნეო ძლიერების ზრდას, სოციალისტური მშენებლობის დიდ წარმატებებს, რომლებსაც საბჭოთა ხალხმა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ბრძნული წინამძღოლობით მიაღწია. 1941 წლის ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში გამოიხატება **216,2** მილიარდი მანეთისა და საგასავლო ნაწილში **215,4** მილიარდი მანეთის რაოდენობით. უკვე მარტო ეს ორი ციფრი მოწმობს სოციალისტური მშენებლობის უდიდეს გაქანებას სსრ კავშირში, ჩვენი სახალხო მეურნეობის აყვავებას, რომელიც განუხრელად ვითარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონების მიხედვით. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი მარტო ერთი წლის განმავლობაში დიდდება 21,4 პროცენტით. ჩვენი სახელმწიფოს საფინანსო შესაძლებლობათა ზრდის ასეთი ტემპი შესაძლებლობას გვაძლევს უაღრესად გავადიდოთ ხარჯები სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის, კულტურული მშენებლობის ზრდისათვის, საბჭოთა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტში სოციალისტური მეურნეობისაგან მიღებული შემოსავალი შეადგენს ბიუჯეტის საერთო მოცულობის ცხრა მეათედს, რაც ერთხელ კიდევ ნათლად ადასტურებს სოციალისტური ეკონომიკის გიგანტურ ზრდას. 216,2 მილიარდი მანეთიდან დაახლოებით 156 მილიარდი უნდა შეადგინოს ბრუნვის გადასახადიდან და მოგების ანარიცხებიდან მიღებულმა შემოსავალმა. ამრიგად, ბიუჯეტის ძირითადი საშემოსავლო მუხლები ემყარება სოციალისტური წარმოების განვითარებას და საქონელბრუნვის ზრდას.

საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციამ საჭიროდ სცნო „სისტემატურად **შემცირდეს გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულება,** ყოველნაირად განმტკიცდეს სამეურნეო ანგარიში, გადაჭრით აღმოფხვრილ იქნას უყაირათობა“. პარტიულ კონფერენციაზე გამოსულთა სიტყვებშიც, ამხ. ზვერევის მოხსენებაშიც მოყვანილი იყო საკმაოდ ბევრი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა ბევრს ჰკარგავს ჩვენი მეურნეობა ნედლეულის, მასალების, სათბობის, ელექტროენერგიის ყოველგვარი გადახარჯვის გამო, წუნის გამო. გასულ წელს მარტო სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატმა დაუშვა 100 მილიონ მანეთზე მეტის დაკარგვა წუნის, მოცდენისა და სხვა სახის უყაირათობის გამო. სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატმა იზარალა 156 მილიონი მანეთი მარტო საკავშირო დაქვემდებარების ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოთა ხაზით. მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობაში ნაკლოვანებათა გადაჭრით აღმოფხვრა, პარტიული ორგანიზაციების მობრუნება მრეწველობისა და ტრანსპორტისაკენ უზრუნველჰყოფს მიმდინარე წელს თვითღირებულების შემცირებისა და დაგროვებათა გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. ეს შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით განვახორციელოთ მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის საფინანსო პროგრამა.

მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს სამმართველო აპარატის შესანახი ხარჯები. ამ შემცირების შედეგად 1941 წელს უნდა მივიღოთ 2 მილიარდი მანეთის ეკონომია. ამხ. ზვერევმა თავის მოხსენებაში აღიარა, რომ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ორგანოები ჯერ კიდევ ცუდად იბრძვიან შტატების შემცირებისათვის და უშვებენ შტატების უკანონო გადიდებას და მოსამსახურეთათვის განაკვეთების, ხელფასის მიმატებას. ეს უწესოებანი გამოაშკარავებულ იქნა სახელმწიფო კონტროლის სახალხო კომისარიატის შემოწმებით, და ფინანსთა სახალხო კომისარიატი მოვალეა მიიღოს ქმედითი ზომები იმისათვის, რომ ასეთი შეცდომები კვლავ არ იქნას დაშვებული.

მიმდინარე წელს საქონელბრუნვა 197 მილიარდ მანეთამდე უნდა გაიზარდოს. ეს დავალება მოითხოვს არა მარტო სამრეწველო წარმოების გადიდებას, არამედ ვაჭრობის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებასაც. სავაჭრო ორგანიზაციები მოვალენი არიან მრეწველობის მუშაკებთან ერთად იზრუნონ პროდუქციის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებისათვის. მიმდინარე წელს მნიშვნელოვნად გაიზრდება ფართო მოხმარების საქონლისა და კვების პროდუქტების წარმოება, კერძოდ ისეთი საქონლისა და პროდუქტებისა, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულისაგან მზადდება. საქონელბრუნვას მიემატება საქონლისა და პროდუქტების ახალი ნაკადები. საჭიროა მოვაწყოთ ნამდვილად კულტურული ვაჭრობა, არ დავუშვათ საქონლის ჩაწოლა, უზრუნველვყოთ საქონელბრუნვის გეგმის შესრულება ყველგან და ბრუნვის გადასახადთა დროზე გადაცემა სახელმწიფო ბიუჯეტში.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გათვალისწინებულია 14 მილიარდი მანეთის შემოსვლა მოსახლეობის გადასახადისა და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის სახით. ჩვენს ბიუჯეტში გადასახადთა ხვედრითი წონა უმნიშვნელოა კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტებთან შედარებით, მაგრამ შემოსავალთა ამ მუხლს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის მთელი საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. ჩვენი სამშობლოს თავდაცვის გაძლიერებისათვის საჭირო გაზრდილი ხარჯების დასაფარავად მთავრობა საჭიროდ სთვლის რამდენადმე გადიდდეს კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი. კოლმეურნეობათა შემოსავლის დაბეგვრის ის წესი, რომელიც დღემდე არსებობდა, მოძველდა. იგი ნაკლებად უწყობს ხელს საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომ განვითარებას. მოძველდა აგრეთვე კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობის, აგრეთვე ერთპიროვნულ მეურნეთა შემოსავლიანობის ნორმები და შემოსავლის გადასახადის განაკვეთები. სესიის განსახილველად შეტანილი პროექტები კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის კანონისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა ცვლილებისა გააუმჯობესებს გადასახადით დაბეგვრის სისტემას და მოგვცემს ახალ სახსრებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისათვის.

სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება მის საშემოსავლო ნაწილში შესაძლებლობას მოგვცემს წარმატებით დავაფინანსოთ მზარდი სახალხო მეურნეობის, კულტურული მშენებლობისა და ქვეყნის თავდაცვის საჭიროებანი. ბიუჯეტის მთელი სახსრების ნახევარზე მეტი ხმარდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაფინანსებას და თითქმის ერთი მესამედი ხმარდება სახელმწიფოს თავდაცვის საჭიროებებს. 57 მილიარდი მანეთი გათვალისწინებულია მარტო კაპიტალური მშენებლობისათვის. მიმდინარე წელს უნდა ამუშავდეს 1.151 ახალი საწარმო. მრეწველობა, ტრანსპორტი, სოფლის მეურნეობა იღებენ მრავალ მილიარდ მანეთს თავისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

მთავრობა წინადადებას იძლევა 47,8 მილიარდი მანეთი გაიღოს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის. ათი წლის განმავლობაში ბიუჯეტის ეს საგასავლო მუხლი თითქმის 9-ჯერ გაიზარდა!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია უდიდესი ენტუზიაზმით შეხვდა მთავრობის წინადადებას ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის თითქმის **71 მილიარდი მანეთის** გადადების შესახებ. სსრ კავშირი ომს გარეშე იმყოფება, საბჭოთა კავშირის ბრძნულმა სტალინურმა საგარეო პოლიტიკამ საბჭოთა ხალხისათვის უზრუნველჰყო მშვიდობიანი შრომის შესაძლებლობა. „საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის პოლიტიკას ეწევა. მაგრამ მას არ შეუძლია მხედველობაში არ იქონიოს ის, რაც საზღვარგარეთ ხდება. შეშფოთებული საერთაშორისო ვითარება ჩვენს სახელმწიფოს ვალდებულს ხდის ყოველგვარად განამტკიცოს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა“, — განაცხადა ამხ. ზვერევმა და ამ განცხადებამ დეპუტატთა — ხალხის არჩეულთა საერთო მოწონება ჰპოვა. ეჭვი არ არის, რომ უმაღლესი საბჭოს სესია და მთელი საბჭოთა ხალხი მხურვალედ მოიწონებენ მთავრობის წინადადებას საბჭოთა კავშირის თავდაცვის საჭიროებათათვის ასიგნობათა გადიდების შესახებ.

1941 წლის ბიუჯეტის თვითეულ მუხლში საბჭოთა ადამიანები ხედავენ ლენინ-სტალინის პარტიისა და საბჭოთა მთავრობის განუწყვეტელ ზრუნვას ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი გადიდებისათვის. ბიუჯეტის ციფრები ახარებენ ჩვენს ხალხს, ვინაიდან იგი მათში ხედავს თავისი გმირული შრომის შედეგებს. ბიუჯეტის ციფრები რაზმავენ საბჭოთა ადამიანებს ახალი შრომითი გმირობისათვის, თავდადებული სოციალისტური მუშაობისათვის, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებს მოუტანს ახალ დიდებას და ახალ გამარჯვებებს კომუნიზმისათვის დიად ბრძოლაში.

„პრავდის“ მოწინავე, 26/II

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების გასული დეპუტატების ნაცვლად დეპუტატების არჩევნების დღის შესახებ

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების დეპუტატების არჩევნები, გასული დეპუტატების ნაცვლად, ცალკეულ საარჩევნო ოლქებში დაინიშნოს 1941 წლის 30 მარტისათვის.

2. საარჩევნო კამპანიის დასაწყისად გამოცხადდეს 28 თებერვალი.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე**
**ფ. მახარაძე**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი**
**ვ. ეგნატაშვილი**

თბილისი. 1941 წ. 27 თებერვალი.

## პოლარული ღამის დასასრული

**არხანგელსკი.** არქტიკაში პოლარული ღამე თავდება. მატოჩკინ შარის (ახალი მიწა) პოლარულ სადგურზე მზე 13 თებერვალს გამოჩნდა.

15 თებერვალს მზის სხივები აციმციმდა ვილკიცკის სრუტეში მოზამთრე ჰიდროგრაფიული გემის „ნორდის“ თოვლიან ანძებზე. ერთი დღეღამის შემდეგ მზე გამოჩნდა უედინენიეს კუნძულზე, რომელიც კარის ზღვაში მდებარეობს, 78 პარალელთან. (საკდესი).

## ამხ. ვოზნესენსკის მოხსენების გამოცემა

სახპოლიტგამომცემლობამ ცალკე ბროშურად გამოუშვა სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და სსრკ საგეგმო სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარის ამხ. ნ. ა. ვოზნესენსკის მიერ საქ. კ. პ. (ბ) XVIII სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე გაკეთებული მოხსენება „1940 წლის სამეურნეო შედეგები და სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1941 წლის გეგმა“.

ბროშურის ტირაჟია 5 მილიონი ცალი. (საკდესი).

## სესხის მორიგი ტირაჟი

**მოსკოვი.** მესამე ხუთწლედის (მეორე წლის გამოშვების) სესხის ზოგიერთ ხელმომწერს დღემდე არ მიუღია თავისი ობლიგაციები. შემნახველ სალაროებს ნება დაერთოთ გასცენ ეს ობლიგაციები 1941 წლის 1 ივლისამდე. ხელმომწერლებს ობლიგაციების მიღება შეუძლიათ შემნახველ სალაროებში პირადად ან ფოსტით.

ამ სესხის მოგებათა მორიგი ტირაჟი 8 და 9 მარტს შესდგება ქ. ვოლოგდაში. (საკდესი).

# სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

## კ ა ვ შ ი რ ი ს ს ა ბ ჭ ო შ ი

26 თებერვალს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VIII სესია მუშაობას განაგრძობდა. დილის 11 საათზე დაიწყო კავშირის საბჭოს სხდომა. თავმჯდომარის მაგიდასთან არიან კავშირის საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ა. ა. ანდრეევი** და კავშირის საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი — დეპუტატები **ტ. დ. ლისენკო** და **უ. იუსუპოვი.** ლოჟებში სხედან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და სსრ კავშირის მთავრობის წევრები ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მეთაურობით. დეპუტატები და სტუმრები ხანგრძლივი ტაშით მიესალმებიან მათ.

სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი ა. ა. ანდრეევი კავშირის საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებლისათვის სიტყვას აძლევს დეპუტატ **კ. ი. ნიკოლაევას.**

დეპუტატი ნიკოლაევა აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სახალხო - სამეურნეო გეგმის სრული შესაბამისობით და სავსებით უზრუნველჰყოფს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასახულია ჩვენი ქვეყნის წინაშე XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის მიერ სამეურნეო, თავდაცვითი და კულტურული მშენებლობის დარგში.

— ბიუჯეტის ციფრები, — აცხადებს დეპუტატი ნიკოლაევა, — მოწმობენ საბჭოთა კავშირის უდიდეს სამეურნეო და კულტურულ ზრდას, მის განუხრელ წინსვლას კომუნიზმისაკენ. მარტო საბჭოთა ქვეყანაში არის შესაძლებელი ერთი წლის მანძილზე ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გადიდება 38 მილიარდი მანეთით — 21,4 პროცენტით! საბიუჯეტო კომისია სთვლის, რომ სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ სწორად განსაზღვრა სახელმწიფო სახსრების მიმართება. კომისია სავსებით უჭერს მხარს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის 70.900 მილიონი მანეთის ასიგნებას.

მომხსენებელი დეპუტატების ტაშის გრიალში მოაგონებს სხდომას, რომ ჯერ კიდევ გასულ წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესია იხილავდა 11 მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტებს, დღეს კი VIII სესია იხილავს 16 რესპუბლიკის ბიუჯეტებს. ბიუჯეტის ციფრებში მკაფიო გამოხატულება ჰპოვა საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის კულტურულმა და სამეურნეო ზრდამ და, კერძოდ, პარტიისა და მთავრობის ზრუნვამ ახალი მოკავშირე რესპუბლიკების — კარელია - ფინეთის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის განვითარებისათვის.

დეპუტატ ნიკოლაევას წინადადება შემოაქვს, რომ ბიუჯეტის შემოსავლის საერთო თანხა გადიდდეს 909,1 მილიონი მანეთით, ხოლო გასავლისა — 272,5 მილიონი მანეთით, და დაწვრილებით ჩერდება ამ გადიდების უმნიშვნელოვანეს წყაროებზე.

— საბჭოთა კავშირის ხალხები, — ამბობს დეპუტატი ნიკოლაევა, — დიდი სტალინის გარშემო, საბჭოთა მთავრობის და მისი მეთაურის ამხ. მოლოტოვის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, ცხოვრებაში გაატარებენ XVIII სრულიად-საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებებს, უზრუნველჰყოფენ 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებას და ამით ახალ გამარჯვებებს მოიპოვებენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში.

დეპუტატები და სტუმრები ამ განცხადებას ხანგრძლივი ტაშით უპასუხებენ.

კავშირის საბჭო გადადის სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების განხილვაზე.

პირველი გამოდის დეპუტატი **ლ. რ. კორნიეცი.**

— სსრ კავშირში, — ამბობს ის, — იფურჩქნება თავისუფალი ხალხის შემოქმედებითი შრომა. ამ შრომას იცავენ ჩვენი მამაცი წითელი არმია და სამხედრო-საზღვაო ფლოტი. სსრ კავშირის მშრომელნი ამაყობენ თავიანთი შეიარაღებული ძალების წარმატებებით. მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ამას დავჯერდეთ, ჩვენ დაუღალავად უნდა ვამტკიცებდეთ მათს საბრძოლო ძლიერებას. სწორედ ამ მიზანს ისახავს 70.900 მილიონი მანეთის ასიგნება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის. წინადადება შემომაქვს ეს ასიგნება მთლიანად იქნას დამტკიცებული!

უზბეკეთის სს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. **ა აბდურახმანოვი** რწმენას გამოსთქვამს, რომ 1941 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებანი უზრუნველჰყოფენ ახალი მოკავშირე რესპუბლიკების სწრაფ სამეურნეო და კულტურულ ზრდას, დაეხმარებიან მათ უმოკლეს ვადაში მიაღწიონ ისეთსავე შესანიშნავ გამარჯვებებს, როგორსაც მიაღწიეს ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელებმა.

წლითიწლობით იზრდება კაპიტალური დაბანდებანი უზბეკეთის მრეწველობაში, მატულობს სამრეწველო პროდუქციის გამოშვება. განმტკიცდა საკოლმეურნეო წყობილება, რომელმაც უმაღლეს სიმაღლეზე აიყვანა უზბეკეთის სოფლის მეურნეობა. განსაკუთრებით განვითარდა საირიგაციო და საგზაო მშენებლობა: მარტო 1940 წელს უზბეკეთის გლეხობამ 70 ათასამდე ჰექტარი უაღრესად ნაყოფიერი სარწყავი მიწები მიიღო.

მთელ ამ წარმატებებს უზბეკი ხალხი უნდა უმადლოდეს რუსეთის გმირ მუშათა კლასს, ბოლშევიკურ პარტიას, ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ სტალინს.

დეპუტატი **ი. ფ. ზიმენკოვი** ამბობს, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის საერთო ზრდასთან ერთად იზრდება რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბიუჯეტებიც. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში სტალინგრადის ოლქის ბიუჯეტი ერთიორად გაიზარდა. ოლქის ბიუჯეტში მთავარი ადგილი უჭირავს სოციალურ - კულტურულ ღონისძიებათათვის განკუთვნილ ხარჯებს.

ორატორი აღნიშნავს საფინანსო მუშაობის სერიოზულ ნაკლოვანებებს. შარშან ოლქში ადგილობრივ ბიუჯეტს 1,5 მილიონი მანეთი დააკლეს. ეს სუსტი საფინანსო დისციპლინით აიხსნება.

დეპუტატი **ა. ს. ფირუზიანი** თავის გამოსვლას უძღვნის იმ რადიკალურ ცვლილებათა დახასიათებას, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების არსებობის განმავლობაში განიცადა სომხეთის სახალხო მეურნეობამ და კულტურამ. რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მრეწველობის ხვედრითი წონა განუზომლად გაიზარდა. შექმნილია 26 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო. მტკიცდება კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა, რის საფუძველზედაც უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი საშუალოდ ერთიხუთად გადიდდა.

— რუსეთის სფს რესპუბლიკის 1941 წლის ბიუჯეტი, — ამბობს რუსეთის სფს რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **კ. დ. პამფილოვი,** — უზრუნველჰყოფს რესპუბლიკის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის შემდგომ განვითარებას. სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე განზრახულია დაიხარჯოს 17 მილიარდ მანეთამდე — ბიუჯეტის მთელი საგასავლო ნაწილის 68 პროცენტი.

შარშან რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში აშენდა 676 სკოლა, 118 საავადმყოფო და სამშობიარო სახლი, გაიხსნა 1.852 ქოხ - სამკითხველო, საკოლმეურნეო კლუბი და კულტურის სახლი.

ამხ. პამფილოვი აკრიტიკებს ზოგიერთი რესპუბლიკური სახალხო კომისარიატის, კერძოდ, სამშენებლო მასალათა მრეწველობისა და ადგილობრივი სათბობი მრეწველობის სახალხო კომისარიატების მუშაობის ნაკლოვანებებს.

ტრიბუნაზეა დეპუტატი **ნ. უნდასინოვი.** იგი ლაპარაკობს იმ უდიდეს წარმატებებზე, რომლებსაც საბჭოთა კაზახეთის მშრომელებმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით მიაღწიეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. კაზახეთი — მომთაბარეთა ქვეყანა — აყვავებულ ინდუსტრიულ - აგრარულ რესპუბლიკად გადაიქცა, სადაც მსხვილი მრეწველობის დიდძალი საწარმოებია.

იწონებს რა სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომელიც წარდგენილია სესიაზე განსახილველად, დეპუტატი უნდასინოვი მხურვალედ უჭერს მხარს წინადადებას იმის შესახებ, რომ გაღებულ იქნას 70.900 მილიონი მანეთი ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის.

დეპუტატი **პ. ნ. პიჩუგინა** მკაცრად აკრიტიკებს სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და ქაღალდ-ცელულოზის მრეწველობის სახალხო კომისარიატის მუშაობას. პარტიისა და მთავრობის მიერ უდიდესი დახმარების მიუხედავად, ეს სახალხო კომისარიატები ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ.

დეპუტატი **მ. ყურბანოვი** მრავალი მაგალითით აშუქებს ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის მიერ მესამე სტალინური ხუთწლედის განმავლობაში მიღწეულ წარმატებებს. 1941 წელს, სხვა საწარმოთა შორის, მთავრდება ბამბეულის კომბინატის პირველი რიგის მშენებლობა. ტაჯიკი ხალხი წარმატებით იბრძვის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. დიდი საირიგაციო ნაგებობანი, რომლებიც თვით კოლმეურნეთა ხელით შენდება, მოწოდებული არიან განსაკუთრებული როლი შეასრულონ ამ საქმეში.

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტი 10 წლის განმავლობაში თითქმის 12-ჯერ გაიზარდა და 1941 წელს 590 მილიონ მანეთს აღემატება.

დეპუტატი **მ. ტ. ტრეტიაკოვი** აღნიშნავს, რომ გორკის ოლქის ბიუჯეტი 1940 წელს 525 მილიონ მანეთს შეადგენდა. ბიუჯეტი ძირითადად ადგილობრივი მეურნეობის შემოსავლის ზრდის ხარჯზე იზრდება. გორკის ოლქში გასული წლის ბიუჯეტი უკეთ შესრულდა, ვიდრე წინა წელს. მაგრამ ცალკეული საშემოსავლო მუხლები მთლიანად არ შესრულებულა: არასასაქონლო ოპერაციების ბრუნვის გადასახადი, მტს-ებისაგან მისაღები თანხები და სხვ.

ამით მთავრდება კავშირის საბჭოს სხდომა.

კავშირის საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება 27 თებერვალს, საღამოს 6 საათზე. (საკდესი).

## ე რ ო ვ ნ ე ბ ა თ ა ს ა ბ ჭ ო შ ი

26 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, გაიხსნა ეროვნებათა საბჭოს სხდომა. თავმჯდომარის მაგიდასთან არიან ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი **ნ. მ. შვერნიკი,** ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი — დეპუტატები **ჩ. ა. ასლანოვა** და **მ. ვ. კულაგინი.** ლოჟებში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები და მთავრობის წევრები ამხ. **ვ. მ. მოლოტოვის** მეთაურობით. დეპუტატები და სტუმრები მქუხარე ტაშით ხვდებიან მათ გამოჩენას.

სხდომის თავმჯდომარე, დეპუტატი ნ. მ. შვერნიკი ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თანამომხსენებლისათვის სიტყვას აძლევს დეპუტატ **ი. ს. ხოხლოვს.**

— ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია, — აცხადებს დეპუტატი ხოხლოვი, — სთვლის, რომ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, სსრ კავშირის მთავრობის მიერ სესიაზე განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოდგენილი, მთლიანად შეესაბამება მესამე სტალინური ხუთწლედის მეოთხე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმას. საბიუჯეტო კომისია სავსებით უჭერს მხარს ასიგნობებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის და რწმენას გამოსთქვამს, რომ ამ ასიგნობებს სესია ერთსულოვნად მოიწონებს.

დეპუტატები ხანგრძლივი ტაშით გამოსთქვამენ თავიანთ სოლიდარობას მომხსენებლის ამ განცხადებისადმი.

დეპუტატ ხოხლოვს მოჰყავს მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების ციფრები და ცნობები 1941 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობაში კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის შესახებ.

— ეს ციფრები, — ამბობს ის, — ნათლად გვიჩვენებენ დიდ არსს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკისას, რომელსაც თანმიმდევრულად ატარებენ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით.

დარბაზში გაისმის მქუხარე ტაში: დეპუტატები, ხალხის წარმოგზავნილნი, მისი ინტერესებისა და ნება-სურვილის გამომხატველნი — ყოველდღიურად ხედავენ, თუ ნაციონალური რესპუბლიკების ეკონომიური და კულტურული აყვავების რა მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს სსრ კავშირის ხალხთა ურყევი სტალინური მეგობრობა!

დეპუტატი ხოხლოვი აცხადებს, რომ ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისია იწონებს სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს და მთელი რიგი წინადადებანი შემოაქვს მისი ცალკეული მუხლების გამო. კერძოდ, განზრახულია გადიდდეს ბრუნვის გადასახადი და მოგების ანარიცხები ზოგიერთი სახალხო კომისარიატის ხაზით, გადიდდეს ასიგნობანი კულტურული მშენებლობის ზოგიერთი მუხლით და სხვ.

ეროვნებათა საბჭო შეუდგა სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ გაკეთებული მოხსენებისა და საბიუჯეტო კომისიის თანამოხსენების განხილვას.

— ბიუჯეტის ციფრები, — ამბობს დეპუტატი **ი. ს. ბილინსკი,** — ასახავენ ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს გრანდიოზულ წარმატებებს, საბჭოთა კავშირის 193-მილიონიანი ხალხის გმირული შემოქმედებითი შრომის შედეგებს. ჩვენი ხალხი დიდად აფასებს მშვიდობიანი შრომის სიკეთეს. იგი დიდად მადლობელია საბჭოთა მთავრობისა, რომლის ბრძნულმა საგარეო პოლიტიკამ უზრუნველჰყო ეს სიკეთენი. ამასთან ერთად საბჭოთა ხალხი დაუღალავად ამტკიცებს და მომავალშიაც განამტკიცებს სოციალიზმის ქვეყნის თავდაცვით ძლიერებას. ყველა მშრომელი, უეჭველია, ერთსულოვნად მოიწონებს მთავრობის წინადადებას იმის შესახებ, რომ 1941 წლის ბიუჯეტით გაღებულ იქნას 70.900 მილიონი მანეთი თავდაცვის საჭიროებისათვის; ეს წინადადება თვითეულ საბჭოთა პატრიოტს სიხარულისა და სიამაყის გრძნობებს აღუძრავს.

დეპუტატმა ბილინსკიმ დაახასიათა საბჭოთა ბელორუსიის, კერძოდ, მისი დასავლეთი ოლქების სამეურნეო და კულტურული მიღწევები. ბელოსტოკის წვრილი ნახევრადკუსტარული საწარმოების ბაზაზე შექმნილია 25 მსხვილი და საშუალო ფაბრიკა, რომლებიც მძლავრ საფეიქრო კომბინატად არიან გაერთიანებულნი. რეკონსტრუირებულია ბევრი საწარმო გროდნოსა და დასავლეთის ოლქების სხვა ქალაქებში. აშენდა და ამუშავდა დნეპრ-ბუგის არხი. განუზომლად გაიზარდა განთავისუფლებულ მუშათა შრომის ნაყოფიერება.

იმ შესანიშნავ ცვლილებათა შესახებ, რაც საბჭოთა ხელისუფლებამ უკრაინის დასავლეთი ოლქების ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში შეიტანა, ილაპარაკა დეპუტატმა **ფ. კ. შირბაკმა:**

— იქ, სადაც ჯერ კიდევ ამ ცოტა ხნის წინათ მუშები და გლეხები წლებზე ფეხს იდგამდნენ და აუტანელ შრომას ეწეოდნენ მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, სადაც საშინელი გაჭირვება, კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრა იყო გამეფებული, — ახლა ახალი, ბედნიერი, თავისუფალი ცხოვრება სჩქეფს. მოკლე ხნის მანძილზე მარტო როვნოს ოლქში ათობით ახალი საწარმო შეიქმნა. მრეწველობა მოწინავე საბჭოთა ტექნიკით იარაღდება. იზრდებიან ადამიანები, რომლებიც თავიანთი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ თავდადებული შრომის სასწაულებს გვიჩვენებენ. გაიხსნა ბევრი ახალი სკოლა, საავადმყოფო, კლუბი. ოლქის სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის 1940 წელს 15-ჯერ მეტი დაიხარჯა, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. 1941 წლის ბიუჯეტი უზრუნველჰყოფს ახალი საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოლქების შემდგომ წარმატებებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის საქმეში.

დეპუტატი **მ. ი. იბრაიმოვი** ეხება საბიუჯეტო კანონმდებლობისა და სასოფლო და სარაიონო ბიუჯეტების შედგენის პრაქტიკის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ ამჟამად სასოფლო ბიუჯეტებს ამტკიცებენ წლის დამდეგამდე, როდესაც ჩვეულებრივ ჯერ კიდევ არ არის დაწესებული ასს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბიუჯეტები, მით უმეტეს რაიონების ბიუჯეტები. ეს იწვევს სასოფლო ბიუჯეტით დაფინანსების გეგმების გადასინჯვას და ართულებს გადაანგარიშებას.

დეპუტატი იბრაიმოვი მოითხოვს, რომ სასოფლო საბჭოების ბიუჯეტები რაიონული ბიუჯეტების შედგენასთან ერთად იქნას დამტკიცებული.

დეპუტატი **შ. მ. არუშანიანი** თავის გამოსვლას სომხეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტს უძღვნის. სომხეთი აყვავებული ინდუსტრიულ-აგრარული რესპუბლიკაა. წლითიწლობით იზრდება მისი ბიუჯეტი. 1941 წლის საბიუჯეტო ასიგნობანი დიდ შესაძლებლობას ჰქმნიან მრეწველობის განვითარებისათვის, ახალი დიდი საირიგაციო მშენებლობისათვის. წელს სომხეთში განზრახულია ათიათასობით ჰექტარი მიწის ფართობის ათვისება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. **ს. ვ. კაფტანოვი** თავის გამოსვლაში ჩერდება კულტურული მშენებლობის საკითხებზე, განათლებისა და მეცნიერების საკითხებზე.

1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია კულტურული მშენებლობისათვის ასიგნობათა შემდგომი გადიდება. ამან უნდა უზრუნველჰყოს მოსწავლეთა კონტინგენტის ზრდა დაწყებითს და საშუალო სკოლებში 36,2 მილიონ კაცამდე, ტექნიკუმებში — 1 მილიონ კაცამდე და უმაღლეს სასწავლებლებში — 657 ათას კაცამდე. მეცნიერებისათვის ასიგნობანი 1.651 მილიონ მანეთამდე იზრდება.

— საბჭოთა ინტელიგენციის კადრები, — ამთავრებს თავის გამოსვლას ამხ. კაფტანოვი, — მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ყოველივე ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ განახორციელონ 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და ამ საფუძველზე უზრუნველჰყონ ჩვენი ქვეყნის ძლიერების შემდგომი ზრდა.

დეპუტატი **უ. ჰაჯიბეგოვი** ლაპარაკობს აზერბაიჯანელი ხალხის კულტურის აყვავებაზე. 1941 წელს სახალხო განათლების საჭიროებისათვის საბჭოთა აზერბაიჯანში უდიდესი თანხა იქნება გაღებული. რესპუბლიკაში ათასობით დაწყებითი და საშუალო სკოლებია. შექმნილია უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების, სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებათა ქსელი. გადიდდა კლუბების, თეატრების, კინოების, ქოხ-სამკითხველოების, ბიბლიოთეკების, საბავშვო დაწესებულებათა რიცხვი.

— სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტს რომ ვამტკიცებთ, — ამბობს დეპუტატი ჰაჯიბეგოვი, — ამით ჩვენ ხმას ვაძლევთ ჩვენი ხალხის ბედნიერებას.

დეპუტატი **ბ. ე. ვედენეევი** თავის გამოსვლას მიუძღვნის ზოგიერთი სახალხო კომისარიატის მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ წელს გაიზარდა პროდუქცია მეტალურგიული და სათბობის მრეწველობისა, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების საფუძველს წარმოადგენენ. 1941 წელს მრეწველობის მოგებამ უნდა მიაღწიოს 28,4 მილიარდ მანეთს, ხოლო მოგების ანარიცხებმა ბიუჯეტში — 19,4 მილიარდ მანეთს. ეს იმას ნიშნავს, რომ სამრეწველო სახალხო კომისარიატებმა უნდა გააუმჯობესონ მუშაობა და შეასრულონ თავიანთი ვალდებულებანი სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე.

დეპუტატი **ა. ვ. ლიაპიდევსკი** აკრიტიკებს სამშენებლო მასალათა მრეწველობის და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების მუშაობას. სამშენებლო მასალათა მრეწველობის სახალხო კომისარიატის საწარმოები ჩამორჩნენ ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნებს. მათ არა თუ არ შეუმცირებიათ პროდუქციის თვითღირებულება, არამედ კიდევაც გაადიდეს.

ამით დამთავრდა ეროვნებათა საბჭოს 26 თებერვლის სხდომა. ეროვნებათა საბჭოს შემდეგი სხდომა შესდგება 27 თებერვალს დილის 11 საათზე. (საკდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის 1-ლი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

# სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და სსრ კავშირის 1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

### სსრ კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენება კავშირის საბჭოს და ეროვნებათა საბჭოს გაერთიანებულ სხდომაზე 1941 წლის 25 თებერვალს*

სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1941 წლის გეგმის სრული შესაბამისობით და მოწოდებულია საჭირო სახსრებით უზრუნველჰყოს საბჭოთა კავშირის სამეურნეო, კულტურული და თავდაცვითი მშენებლობის დარგში დასახული ღონისძიებანი.

სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის მოცულობა მოწმობს საბჭოთა კავშირის ძლიერების, მისი მატერიალური და საფინანსო რესურსების ზრდას.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი ემყარება სახალხო მეურნეობას, რომელიც გეგმაშეზომილად ვითარდება გაფართოებული სოციალისტური რეპროდუქციის კანონების თანახმად. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლის ზრდას საფუძვლად უდევს სოციალისტური მეურნეობის დაგროვებანი. ეს უზრუნველჰყოფს სოციალისტური მშენებლობის შეუფერხებლივ დაფინანსებას და საჭირო მატერიალური და ფინანსიური რეზერვების შექმნას.

მესამე სტალინური ხუთწლედის გასული 3 წლის მანძილზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა განუხრელად მიდიოდა წინ საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) XVIII ყრილობის მიერ დასახული ამოცანების გადაჭრის საქმეში. ამ წლების განმავლობაში სოციალისტური მრეწველობის პროდუქცია 44 პროცენტით გაიზარდა, აქედან საწარმოო საშუალებათა დამამზადებელი მრეწველობის პროდუქცია 52 პროცენტით გადიდდა. სახალხო მეურნეობაში კაპიტალურმა დაბანდებამ 108 მილიარდ მანეთს მიაღწია. ამუშავდა 2.900-მდე ახალი სახელმწიფო სამრეწველო საწარმო (რაიონული მრეწველობის ჩაუთვლელად).

მესამე ხუთწლედის 3 წლის განმავლობაში სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტიდან სოციალისტურ მშენებლობაში დაბანდებულმა თანხამ 450 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

ამ წლების მანძილზე დიდად გაიზარდა საბჭოთა კავშირის სამეურნეო და სამხედრო ძლიერება. გაფართოვდა ჩვენი სამშობლოს საზღვრები. ამჟამად ჩვენი სახელმწიფო 16 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მძლავრ კავშირს წარმოადგენს.

სტალინური საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრობით გატარებისა და ჩვენი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის ზრდის მეოხებით საბჭოთა კავშირის ხალხებისათვის უზრუნველყოფილია მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის შესაძლებლობა. სოციალისტური სახელმწიფოს ყოველმხრივ განმტკიცებით, მისი ეკონომიური და თავდაცვითი ძლევამოსილების კიდევ უფრო გაძლიერებით საბჭოთა ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია ხელმძღვანელობს, განუხრელად მიდის კომუნიზმის გზით.

ყველა ამ გამარჯვებას ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ხალხთა გენიალურ ბელადს, ჩვენს დიდ სტალინს. **(მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

## I. 1940 წლის ზოგიერთი შედეგები

1939 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი წარმატებით შესრულდა. სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით დასახულ ღონისძიებათა დაფინანსება უზრუნველყოფილი იყო საჭირო რაოდენობით.

გასული 1940 წელი იყო საბჭოთა კავშირის მეურნეობისა და ფინანსების განვითარებაში მიღწეულ ახალ წარმატებათა წელი.

სსრ კავშირის 1940 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი (წინასწარი ცნობებით) შესრულებულია შემოსავლის ნაწილში 178.1 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ხოლო გასავლის ნაწილში—173,3 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

ამგვარად, მეურნეობის განვითარების იმ განსაკუთრებული პირობების მიუხედავად, რომლებიც დაკავშირებულია წლის პირველი თვეების განმავლობაში წარმოებულ სამხედრო მოქმედებასთან. 1940 წელს სახელმწიფო ბიუჯეტი შესრულებულია ისე, რომ შემოსავალი უფრო მეტი რაოდენობით აღემატება გასავალს, ვიდრე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიის გადაწყვეტილებებით იყო გათვალისწინებული.

## II. სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს სსრ კავშირის მთავრობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას დასამტკიცებლად უდგენს შემოსავლის ნაწილში 216,2 მილიარდი მანეთის რაოდენობით და გასავლის ნაწილში 215,4 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ისე რომ შემოსავალი 788 მილიონი მანეთით სჭარბობს გასავალს. საკავშირო ბიუჯეტით შემოსავლის საერთო რაოდენობა განსაზღვრულია 170,2 მილიარდი მანეთით, ხოლო რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით—46 მილიარდი მანეთით.

1940 წელთან შედარებით, სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი იზრდება 38,1 მილიარდი მანეთით, ანუ 21,4 პროცენტით. შემოსავლის ასეთი მნიშვნელოვანი ზრდა უმთავრესად იქმნება წარმოების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესაბამისად, სოციალისტური მეურნეობიდან თანხების შემოსავლის გადიდების ხარჯზე.

სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი, ცალკეული წყაროების მიხედვით, ნავარაუდევია შემდეგი თანხების ოდენობით (მილიონ მანეთობით):

| შემოსავლის წყაროები | 1940 წ. შესრულება (წინასწარი ცნობებით) | 1941 წ. | ზრდა: თანხა | ზრდა: პროც. |
|---|---|---|---|---|
| სულ შემოსავალი | 178.080 | 216.161 | 38.081 | 21,4 |
| აქედან: | | | | |
| ბრუნვის გადასახადი | 105.849 | 124.500 | 18.651 | 17,6 |
| მოგების ანარიცხები | 21.346 | 31.259 | 9.913 | 46,4 |
| სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახარები | 9.153 | 9.998 | 845 | 9,2 |
| მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავალი | 2.007 | 2.603 | 596 | 29,7 |
| სახელმწიფო სესხები | 11.397 | 13.230 | 1.833 | 16,1 |
| გადასახადი და გამოსაღები მოსახლეობისაგან | 9.443 | 12.451 | 3.008 | 31,9 |

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითად შემოსავალს წარმოადგენენ, ისევე როგორც წინათ, ბრუნვის გადასახადი და მოგების ანარიცხები. ეს გადასახადი და ანარიცხები სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი შემოსავლის 72 პროცენტს შეადგენენ, ხოლო სოციალისტური მეურნეობის მთელი შემოსავალი ბიუჯეტის საერთო მოცულობის ცხრა მეათედს შეადგენს.

### ბრუნვის გადასახადი

ბრუნვის გადასახადის შემოსავალი 1941 წლისათვის ნავარაუდევია 124,5 მილიარდი მანეთის რაოდენობით, ნაცვლად 105,8 მილიარდი მანეთისა, რაც გასულ წელს იყო. ამ ზრდას საფუძვლად უდევს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური წარმოების განვითარება და საქონელბრუნვის გადიდება.

მრეწველობის საერთო პროდუქცია 1941 წელს, გასულ წელთან შედარებით, 17-18 პროცენტით გადიდდება და 162 მილიარდ მანეთს მიაღწევს. სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვა 174,5 მილიარდი მანეთიდან, რაც 1940 წელს იყო, 1941 წელს 197 მილიარდ მანეთამდე გაიზრდება. ამით იქმნება ყველა საჭირო პირობა ბრუნვის გადასახადის გეგმის შესასრულებლად. საჭიროა მხოლოდ, რომ სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მიაღწიონ იმას, რომ თვითეულმა ცალკე საწარმომ შესრულოს წარმოების თვიური, კვარტალური და წლიური გეგმები, რომ მათ მტკიცედ დაიცვან გეგმით დაწესებული ასორტიმენტი, უზრუნველჰყონ პროდუქციის თავის დროზე რეალიზაცია და არ დაუშვან საქონლის ჩაწოლა. უნდა აღიკვეთოს ლიბერალური დამოკიდებულება იმ სამეურნეო მუშაკებისადმი, რომლებსაც არ ესმით სახელმწიფო სავალდებულო დისციპლინის მნიშვნელობა.

საფინანსო ორგანოებმა უნდა გააუმჯობესონ მუშაობა სამეურნეო ორგანოთა საგადასახადო ანგარიშგების შემოწმების ხაზით. ამ საქმეს სახელმწიფო ბიუჯეტისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

XVIII პარტიულმა კონფერენციამ სამეურნეო მუშაკებს დაავალა შეასრულონ გეგმები უკლებლივ ყველა საწარმოში. სწორედ ასევე საფინანსო ორგანოებმაც უნდა შეასრულონ დავალებანი ბრუნვის გადასახადის დარგში არა მარტო თვითეული რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის მიხედვით, არამედ თვითეული რაიონის, თვითეული სამეურნეო ორგანიზაციის მიხედვითაც.

### მოგების ანარიცხები

1941 წლისათვის ბიუჯეტში მოგების ანარიცხები გათვალისწინებულია 31,3 მილიარდი მანეთი,—46,4 პროცენტით მეტი, ვიდრე გასულ წელს შემოვიდა. ყველა ამ გადასახდელის ხვედრითი წონა ბიუჯეტის შემოსავალში 12 პროცენტიდან 14,5 პროცენტამდე მატულობს.

მთელი სახალხო მეურნეობის დაგროვება 1941 წლისათვის განსაზღვრულია 44,8 მილიარდი მანეთის რაოდენობით. ეს 40,9 პროცენტით მეტია, ვიდრე 1940 წელს იყო. განსაკუთრებით ინტენსიურად იზრდება მძიმე მრეწველობის დაგროვება. მთელი მრეწველობის დაგროვება 1941 წელს 47,9 პროცენტით დიდდება. მძიმე მრეწველობის დაგროვება კი ერთიორად და უფრო მეტად მატულობს.

1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმით დაწესებულია სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების 3,7 პროცენტით შემცირება. ამ დავალების შესრულებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს; მან უნდა მოგვცეს 7,3 მილიარდი მანეთი დამატებითი დაგროვება მრეწველობაში. თვითღირებულების შემცირების თვითეული პროცენტი თითქმის 2 მილიარდ მანეთ ეკონომიას ნიშნავს.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თვითღირებულების შემცირების დავალება ნამდვილად წარმოადგენდეს ურყევ კანონს თვითეული საწარმოსათვის.

XVIII პარტიულ კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხ. მალენკოვმა სამშენებლო მასალათა მრეწველობის, თევზისა და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატები ყველაზე უფრო ჩამორჩენილთა რიცხვს მიაკუთვნა. ამ სახალხო კომისარიატებში ფინანსებიც არეულ-დარეულია.

მეურნეობის სხვა დარგების მუშაობის პრაქტიკიდანაც შეგვიძლია მოვიყვანოთ საკმაოდ ბევრი ფაქტი, რომელიც გვიჩვენებს სახელმწიფოს სახსრებისადმი დაუდევარ დამოკიდებულებას, წუნით გამოწვეულ დანაკარგს, სხვადასხვა გადახარჯვას.

ამხანაგი სტალინი სამეურნეო მუშაკებისაგან მოითხოვს, რათა ისინი იცავდნენ სამეურნეო ანგარიშის პრინციპებს, სწორად ანგარიშობდნენ, კალკულაციას ატარებდნენ, დასაბუთებულ ბალანსებს ადგენდნენ. „რამდენი რეზოლუციაც უნდა სწეროთ, რა სიტყვებითაც უნდა იფიცოთ, თუ თქვენ არ დაეუფლებით ქარხნის, ფაბრიკის, მაღაროს ტექნიკას, ეკონომიკასა და ფინანსებს, არაფერი არ გამოვა...“—ასე ამბობდა ამხანაგი სტალინი სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა სრულიად-საკავშირო კონფერენციაზე 1931 წელს.

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა შესრულება თვითეული საწარმოს, თვითეული სამეურნეო ორგანიზაციის მუშაობის წარმატების სავალდებულო პირობას წარმოადგენს.

### მოსახლეობის გადასახადები და გამოსაღებნი და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი

გასულ წელს ფინორგანოების მუშაობა გადასახადების აკრეფის დარგში რამდენადმე გაუმჯობესდა. ნარჩენი, რაც წლის დასაწყისისათვის დაახლოებით 600 მილიონ მანეთს შეადგენდა, ამა წლის 1 იანვრისათვის თითქმის ორნახევარჯერ შემცირდა.

მაგრამ მოსახლეობის გადასახადების 1940 წლისათვის დამტკიცებული გეგმის შესრულებას 2, 8 პროცენტი დააკლდა. ჯერ კიდევ ცოტა არ არის ისეთი ოლქი სადაც საგადასახადო მუშაობა დაბალ დონეზეა. კერძოდ, ასეთებს ეკუთვნის: რიაზანის ოლქი, რომელმაც გეგმა მხოლოდ 88.2 პროცენტით შეასრულა, ორიოლის ოლქი — 91,9 პროცენტით, კრასნოდარის მხარე — 94,4 პროცენტით, პენზის ოლქი — 94,7 პროცენტით, კურსკის ოლქი — 95,6 პროცენტით, გორკის ოლქი — 97 პროცენტით, ტულის ოლქი — 97,3 პროცენტით.

1941 წლისათვის მოსახლეობის გადასახადებისა და კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შემოსავალი დაპროექტებულია 14 მილიარდი მანეთის რაოდენობით.

იმ მიზნით, რომ დაფარულ იქნას ჩვენი სამშობლოს თავდაცვის გასაძლიერებლად საჭირო ხარჯები, რაც საერთაშორისო ვითარების გამწვავებასთან დაკავშირებით გაიზარდა, საჭიროდ მიმაჩნია რამდენადმე გადიდებულ იქნას კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადი და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისათვის დასამტკიცებლად წარმოდგენილია კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის კანონის შეცვლის პროექტი და კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებათა პროექტი.

არსებული კანონით კოლმეურნეობანი საშემოსავლო გადასახადს იხდიან მთელი საერთო შემოსავლის 3 პროცენტის რაოდენობით, ხოლო მიწის საერთო შრომით დამმუშავებელი ამხანაგობანი — 4 პროცენტის რაოდენობით. კოლმეურნეობათა დასაბეგრ შემოსავალში შედის მათ მიერ სავალდებულო ჩაბარებათა, სახელმწიფო შესყიდვათა და კონტრაქტაციის წესით ჩაბარებულ პროდუქციაში და საკოლმეურნეო ბაზარზე რეალიზებულ პროდუქციაში მიღებული თანხები; მასში შედის აგრეთვე შრომადღეების მიხედვით განაწილებული პროდუქციის ღირებულება, მტს-ების სამუშაოს ნატურალური და ფულადი საზღაური, საქონლის საკვებად და კოლმეურნეობათა სხვა საჭიროებათათვის განკუთვნილი პროდუქციის ღირებულება. ყოველივე ეს იბეგრება თანაბარი განაკვეთით.

დაბეგვრის ასეთი წესი მოძველდა და ნაკლებად უწყობს ხელს საკოლმეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომს განვითარებას, კერძოდ მეცხოველეობის საზოგადოებრივი საკოლმეურნეო ფერმების განვითარებას.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის ახალი კანონის პროექტით გათვალისწინებულია განთავისუფლებულ იქნას დაბეგვრისაგან ის პროდუქცია, რაც სახელმწიფოს ჰბარდება სავალდებულო ჩაბარებათა წესით, და ის პროდუქცია, რასაც მეცხოველეობის ფერმებისათვის იყენებენ ფურაჟად. დასაბეგრი შემოსავლიდან გამოირიცხება აგრეთვე კოლმეურნეობათა ნატურალური და ფულადი გადასახდელი მტს-ების სამუშაოსათვის.

შემდეგ, წესდება გადასახადის სხვადასხვა განაკვეთი კოლმეურნეობათა მიერ მიღებულ ცალკეულ სახეთა შემოსავალზე. განზრახულია, რომ სახელმწიფო შესყიდვების და კონტრაქტაციის წესით სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე იმ პროდუქციის შემოსავალი, რაც კოლმეურნეობათა საწარმოო ხარჯებს ხმარდება (გარდა ფურაჟისა), დაიბეგროს 4 პროცენტის რაოდენობით, დანარჩენი შემოსავალი — 8 პროცენტის რაოდენობით.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის 1939 წლის 1 სექტემბრის კანონით კოლმეურნეობათა პირადი დამხმარე მეურნეობის შემოსავალი, აგრეთვე ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა შემოსავალი, განისაზღვრება შემოსავლიანობის ნორმების მიხედვით. ეს ნორმები დაწესებული იყო საკოლმეურნეო ბაზარზე 1937-1938 წლებში არსებული ფასების დონის მიხედვით. ამჟამად შემოსავლიანობის ნორმები და გადასახადის განაკვეთები მოძველდა, რადგან კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა შემოსავალი, რასაც ისინი სოფლის მეურნეობის პროდუქტების გაყიდვით იღებენ, მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამიტომ წინადადება შემოგვაქვს, რომ შეტანილ იქნას ცვლილებანი შემოსავლიანობის ნორმებში და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მოქმედ განაკვეთებში.

შემოსავლიანობის ნორმებისა და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის განაკვეთების წარმოდგენილი ცვლილებანი არა ვრცელდებიან უკრაინისა და ბელორუსიის სსრ რესპუბლიკების დასავლეთ ოლქებზე, მოლდავეთის სს რესპუბლიკის ახალ რაიონებზე, აგრეთვე ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის სს რესპუბლიკებზე.

კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის კანონის ცვლილებანი და სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის შესწორებანი, რაც შემოტანილია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე დასამტკიცებლად, გააუმჯობესებენ კოლმეურნეობათა, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობათა საგადასახადო დაბეგვრის სისტემას და ამასთანავე ერთად დამატებით მოგვცემენ სახსრებს ჩვენი სამშობლოს თავდაცვის გასაძლიერებლად.

### სახელმწიფო სესხები და ანაბარები შემნახველ სალაროებში

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიამ 1940 წლისათვის დაამტკიცა ბიუჯეტის შემოსავალი იმ სესხებისაგან, რომლებიც მოსახლეობაში ხელმოწერით ვრცელდება, 8.665 მილიონი მანეთის რაოდენობით, ფაქტიურად 1940 წელს შემოვიდა 9.008 მილიონი მანეთი, ე. ი. 343 მილიონი მანეთით მეტი.

მესამე ხუთწლედის (მესამე წლის გამოშვება) სესხს მოკლე ხნის განმავლობაში ხელი მოაწერა დაახლოებით 60 მილიონმა კაცმა 9.433 მილიონი მანეთის რაოდენობით. მკვეთრად გაიზარდა ხელმოწერა საკოლმეურნეო სოფელში: 1939 წელს ხელმოწერა შეადგენდა 1.138 მილიონ მანეთს, 1940 წელს კი — 1.603 მილიონ მანეთს.

ჩვენი სახელმწიფო სესხები ობლიგაციების მქონეთ ყოველწლიურად მზარდ შემოსავალს აძლევენ. 1940 წელს მოსახლეობას მოგებისა და სესხის პროცენტების სახით მიეცა 900 მილიონ მანეთზე მეტი, მაშინ როდესაც 1939 წელს გაცემული იყო 550 მილიონი მანეთი.

1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალში გათვალისწინებულია მოსახლეობაში ხელმოწერით რეალიზებული სახელმწიფო სესხებისაგან თანხების შემოსვლა 10.375 მილიონი მანეთის რაოდენობით.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გაფართოვდა შემნახველი სალაროების ქსელი სსრ კავშირში, განსაკუთრებით სოფლად. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში გახსნილია 41 ათასზე მეტი შემნახველი სალარო. მესამე ხუთწლედის დამდეგისათვის სოფლად იყო 14 ათასამდე შემნახველი სალარო, ახლა კი 31 ათასზე მეტია.

ამჟამად შემნახველ სალაროებში ანაბარების ნაშთი 7 მილიარდ მანეთს აღემატება.

1941 წელს შემნახველმა სალაროებმა უნდა მიიზიდონ 1.200 მილიონი მანეთის ახალი ანაბარები.

მიმდინარე წლის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს საშემნახველო საქმის განვითარება საბჭოთა კავშირის ახალ რესპუბლიკებსა და ოლქებში.

### სახელმწიფო დაზღვევა

სახელმწიფო დაზღვევის შემოსავლის გეგმა 1941 წლისათვის ნავარაუდევია 3.706 მილიონი მანეთის რაოდენობით; გასულ წელთან შედარებით ზრდა უდრის 8 პროცენტს. აქედან სახელმწიფო ბიუჯეტში შევა 1.565 მილიონი მანეთი. ამას გარდა, ასს რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ბიუჯეტებში თანხების გადარიცხვა სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის ხაზით 294 მილიონ მანეთს შეადგენს.

1940 წელს სავალდებულო და ნებაყოფლობითი სახის დაზღვევის წესით აკრეფილ იქნა 3.426 მილიონი მანეთი, ე. ი. გეგმას 100 პროცენტი.

1940 წელს კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს, მუშებს და მოსამსახურეებს, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სადაზღვევო ანაზღაურების წესით 1.300 მილიონ მანეთამდე მიეცა. ეს დიდი დახმარებაა იმ მეურნეობათათვის, რომლებიც სტიქიური უბედურებისაგან დაზარალდნენ.

○

1941 წლისათვის შემოსავლის დარგში დავალების 216 მილიარდი მანეთის რაოდენობით შესრულება მოითხოვს, რომ სახალხო კომისარიატებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა უზრუნველჰყონ საწარმოო პროგრამების, თვითღირებულების შემცირების დარგში დავალებათა და დაგროვების გეგმების განუხრელად შესრულება, რომ სსრ კავშირის სამეურნეო ორგანოებმაც და მოქალაქეებმაც წესიერად შეასრულონ თავიანთი საფინანსო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე.

საჭიროა აგრეთვე, რომ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმაც თვალყური ადევნონ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების მიღებას და პრაქტიკულად შეუწყონ ხელი საფინანსო გეგმის წარმატებით შესრულებას.

XVIII სრულიად - საკავშირო პარტიული კონფერენციის გადაწყვეტილებათა განხორციელება უზრუნველჰყოფს 1941 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და კიდევ უფრო, განამტკიცებს ჩვენი სახელმწიფოს საფინანსო ძლიერებას.

## III. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი 1941 წელს

სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის გასავალი, 1940 წლის 173,3 მილიარდი მანეთის ნაცვლად, განსაზღვრულია 215,4 მილიარდი მანეთის რაოდენობით. გასულ წელთან შედარებით გასავალი იზრდება 42,1 მილიარდი მანეთით, ანუ 24,3 პროცენტით.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 1941 წელს ხმარდება შემდეგ მიზნებს (მილიონ მანეთობით):

| გასავლის დანიშნულება | 1940 წ. (შესრულება; წინასწარი შედეგების მიხედვით) | | 1941 წ. | | მატება | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | თანხა | პროცენტი ჯამის მიმართ | თანხა | პროცენტი ჯამის მიმართ | თანხა | პროცენტი |
| სულ გასავალი . . . . . . | 173.259 | 100,0 | 215.373 | 100,0 | 42.114 | 24,3 |
| აქედან: | | | | | | |
| 1. სახალხო მეურნეობა . . | 57.110 | 33,0 | 72.875 | 33,8 | 15.765 | 27,6 |
| აქედან: | | | | | | |
| მრეწველობა . . . . . . | 27.762 | 16,0 | 39.181 | 18,2 | 11.419 | 41,1 |
| სოფლის მეურნეობა . . . | 12.168 | 7,0 | 13.455 | 6,2 | 1.287 | 10,6 |
| ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა . . . . . . . . | 4.664 | 2,7 | 6.576 | 3,0 | 1.912 | 41,0 |
| 2 სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი . . . . . . . | 41.713 | 24,1 | 47.803 | 22,2 | 6.090 | 14,6 |
| აქედან: | | | | | | |
| განათლება . . . . . . | 22.682 | 13,1 | 26.612 | 12,3 | 3.930 | 17,3 |
| ჯანმრთელობის დაცვა . . | 9.379. | 5,4 | 10.891 | 5,1 | 1.512 | 16,1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 3.007 | 1,8 | 3.469 | 1,6 | 462 | 15,4 |
| 3 თავდაცვის სახალხო კომისარიატი და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარიატი | 56.102 | 32,4 | 70.865 | 32,9 | 14.763 | 26,3 |
| 4. სასამართლო, პროკურატურა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოები . . . . . | 6.752 | 3,9 | 7.142 | 3,3 | 390 | 5,8 |
| 5 სესხებთან დაკავშირებული ხარჯები . . . . . . . | 2.785 | 1,6 | 3.350 | 1,6 | 565 | 20,3 |

მთელ საბიუჯეტო ასიგნობათა ნახევარზე მეტი (56 პროცენტი) ხმარდება სახალხო მეურნეობისა და კულტურის დაფინანსებას და თითქმის ერთი მესამედი (32,9 პროცენტი) — თავდაცვის დაფინანსებას.

ასიგნობათა განსაკუთრებით დიდი გადიდება დასახულია მრეწველობისა და ტრანსპორტის ხაზით. გათვალისწინებულია საბიუჯეტო დაბანდებანი: მრეწველობაში — 39,2 მილიარდი მანეთი, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში — 6,6 მილიარდი მანეთი. 1940 წელთან შედარებით, მრეწველობის დაფინანსება დიდდება 11,4 მილიარდი მანეთით, ანუ 41,1 პროცენტით; ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის დაფინანსება იზრდება 1,9 მილიარდი მანეთით, ანუ 41 პროცენტით. სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ასეთი მიმართება შეესაბამება 1941 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის ამოცანებს და მრეწველობისა და ტრანსპორტის როლს ამ ამოცანების განხორციელებაში.

### კაპიტალური მშენებლობის დაფინანსება

1941 წლისათვის კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა დაწესებულია — 1936 წლის სახარჯთაღრიცხვო ფასებით — 57 მილიარდი მანეთის რაოდენობით, აქედან 9 მილიარდი მანეთი — არაცენტრალიზებული კაპიტალდაბანდებანი. სამუშაოთა ამ პროგრამის დაფინანსებას, ფასებისა და ტარიფების შეცვლის გათვალისწინებით, 60 მილიარდი მანეთი დასჭირდება. კაპიტალურ სამუშაოთა დაფინანსების გადამწყვეტი წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი, რომლითაც ამ მიზნებისათვის გადაიდება 46,6 მილიარდი მანეთი, ანუ დაფინანსების საერთო მოცულობის 77,7 პროცენტი. განზრახულია ამ თანხიდან სამრეწველო სახალხო კომისარიატების საწარმოთა მშენებლობისათვის გაიცეს 22,9 მილიარდი მანეთი, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მშენებლობისათვის — 4,8 მილიარდი მანეთი.

კაპიტალური მშენებლობის დაფინანსებაში სამეურნეო ორგანოთა საკუთარი სახსრები 13,4 მილიარდ მანეთს შეადგენენ.

კაპიტალურ სამუშაოთა გეგმის შესასრულებლად მეტისმეტად დიდი მნიშვნელობა აქვს მშენებლობათა შიდარესურსების გამოყენებას. 1941 წელს გამოყენებულ უნდა იქნას მოწყობილობისა და მასალების 750 მილიონზე მეტი მანეთის ჭარბი მარაგი.

უნდა უზრუნველვყოთ იმის კონტროლი, რომ უაღრესად მტკიცედ გატარდეს ცხოვრებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „მოწყობილობისა და მასალების სხვებისათვის მიყიდვის, გადაცვლისა და გაცემის აკრძალვის და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისგების შესახებ“. მშენებლობაში მატერიალური რესურსების განიავებაში დამნაშავენი სასტიკ პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემულნი.

### სამეურნეო ორგანოთა საბრუნავი სახსრების დაფინანსება

1941 წლისათვის გათვალისწინებულია სამეურნეო ორგანოთა საკუთარი საბრუნავი სახსრების მატება 10,2 მილიარდი მანეთით, აქედან 3,3 მილიარდი მანეთისა — ბიუჯეტის ხარჯზე.

გასული წლის ოქტომბერში სსრ კავშირის სახკომსაბჭომ დაავალა სახალხო კომისარიატებს მიეღოთ სასწრაფო ზომები საქონლის და მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგის რეალიზაციისათვის. მიუხედავად ამისა, 1940 წლის 1 ივლისიდან 1 დეკემბრამდე გასული ხნის მანძილზე მარაგი მრეწველობის ცალკეულ დარგებში მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ასეთი ზედმეტი მარაგის დაგროვების ერთერთი ძირითადი მიზეზია საწარმოებში ნედლეულის მასალების, ინსტრუმენტისა და მოწყობილობის აღრიცხვის არადამაკმაყოფილებელი დაყენება და მათი გამოყენების ცუდი შეთვალყურეობა.

მზა ნაწარმის ჩაწოლას ძალიან ხშირად იწვევს პროდუქციის არათანაზომიერი გამოშვების პრაქტიკაც.

ბოლო უნდა მოეღოთ საქონლისა და მატერიალურ ფასეულობათა მეტისმეტი მარაგის დაგროვების პრაქტიკას.

### სოფლის მეურნეობის დაფინანსება

1941 წელს გეგმით მარცვლეულის საერთო პროდუქცია 8 პროცენტით იზრდება და 7,9 მილიარდამდე ფუთს შეადგენს. მსხვილფეხა რქიანი საქონლის სულადობა კოლმეურნეობებში 19 პროცენტით გაიზრდება, ცხენისა—9-10 პროცენტით, ცხვრისა და თხისა — 23-24 პროცენტით, ღორისა — 38 პროცენტით. 1940 წელს მტს-ებს ჰქონდათ 437 ათასი ტრაქტორი, 1941 წელს კი უკვე 454 ათასამდე ექნებათ. განზრახულია მოეწყოს 387 ახალი მტს-ი, მათ შორის 115 — ბალტიისპირა მოკავშირე რესპუბლიკებში. მტს-ების საერთო რიცხვი მიმდინარე წლის დამლევისათვის 7.367-ს შეადგენს.

პარტია და მთავრობა ფართო დახმარებას უწევენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. 1941 წელს კოლმეურნეობები და კოლმეურნენი 1,7 მილიარდ მანეთს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო კრედიტს მიიღებენ. დიდ რაოდენობას — 13,5 მილიარდ მანეთს — მიაღწევენ კაპიტალური დაბანდებანი სოფლის მეურნეობაში სახელმწიფო ბიუჯეტით. ამ თანხიდან მტს-ების დაფინანსება 7,9 მილიარდამდე მანეთს შეადგენს, ხოლო საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის სისტემის საბჭოთა მეურნეობების დაფინანსება 2,5 მილიარდ მანეთს.

სოფლის მეურნეობის დარგში ერთერთ სერიოზულ ამოცანას წარმოადგენს, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების რენტაბელობის გადიდება.

დიდი ნაკლი გვაქვს სამანქანო-სატრაქტორო სადგურების საფინანსო მეურნეობაშიც. 1940 წელს მტს-ებში სახსრების გადახარჯვა არ შემცირებულა.

### ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე

1941 წელს სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათათვის ბიუჯეტით გაღებული იქნება 47.8 მილიარდი მანეთი — 6,1 მილიარდი მანეთით ანუ 14,6 პროცენტით მეტი, ვიდრე შარშან იყო. ასიგნობანი სოციალურ - კულტურულ ღონისძიებებზე 1941 წელს, 1931 წელთან შედარებით თითქმის ერთიცხრად გაიზრდება. კულტურის ხარჯების ზრდის ასეთი ტემპები შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში, მხოლოდ იმ ქვეყანაში რომელსაც ხელმძღვანელობენ ბოლშევიკური პარტია და

(დასასრული იხ. მე-3 გვ.)

---

*) იბეჭდება შემოკლებული სტენოგრამის მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის პირველი მოწვევის უმაღლესი საბჭოს VIII სესია

# ამხ. ა. გ. ზვერევის მოხსენების დასასრული

დიდი სტალინი (მქუხარე ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებული მთელი ხარჯების ნახევარზე მეტი — 26,6 მილიარდი მანეთი — განათლების საქმეს მოხმარდება. დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების შესანახი ხარჯები, რაც 1940 წელს 8,7 მილიარდ მანეთს შეადგენდა, 1941 წელს 9,5 მილიარდამდე მანეთით გაიზრდება.

დაწყებით, არასრულ საშუალო და საერთო განათლების საშუალო სკოლებში 1941-42 წელს ისწავლის 36,2 მილიონი კაცი, ესე იგი 3,4 პროცენტით მეტი იმაზე, რაც ფაქტიურად სწავლობდა 1940-41 წელს. სახალხო კომისარიატების საბავშვო ბაღებში 1941 წელს აღსაზრდელად იქნება 1.272.000 ბავშვი — 126.000-ით მეტი, ვიდრე 1940 წელს იყო.

ბიუჯეტით მნიშვნელოვანი ასიგნობები — 996 მილიონი მანეთი — არის გათვალისწინებული მოზრდილთა შორის პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობისათვის; ამ თანხიდან განზრახულია ქოხ-სამკითხველოებს მოხმარდეს 227 მილიონი მანეთი, მოზრდილთა სკოლებს — 217 მილიონი მანეთი.

სახელოსნო და რკინიგზის სასწავლებლებისა და საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლების შესანახად მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია დაიხარჯოს 4.065 მილიონი მანეთი. ეს სახსრები უზრუნველჰყოფენ ახალ კვალიფიციურ მუშათა ორგანიზებულ მომზადებას მრეწველობისა და ტრანსპორტისათვის.

1941 წელს უმაღლეს სასწავლებელთა შესანახად ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2.299 მილიონი მანეთი, ხოლო ტექნიკუმების შესანახად — 1.551 მილიონი მანეთი. ეს ასიგნობანი შესაძლებლობას გვაძლევენ გავადიდოთ მოსწავლეთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებში 1940 წელთან შედარებით 657 ათას კაცამდე, ესე იგი თითქმის 13 პროცენტით.

ბიუჯეტში ასახულია ის უდიდესი ყურადღება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უთმობს მეცნიერებას. სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებისა და ღონისძიებებისათვის გათვალისწინებული ხარჯების საერთო ჯამი 1.651 მილიონ მანეთს შეადგენს.

1940 წელს ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზკულტურის ხარჯები 9.379 მილიონ მანეთს შეადგენს. 1941 წლის ბიუჯეტით ეს თანხა ერთნახევარი მილიარდი მანეთით მატულობს და 10.891 მილიონ მანეთს აღწევს.

განზრახულია წლის განმავლობაში მოეწყოს 27 ათასამდე ახალი საწოლი ქალაქისა და სოფლის საავადმყოფოებში, 55 ათასზე მეტი საწოლი — მუდმივს საბავშვო ბაგებში.

განზრახულია მრავალშვილიან დედებს მიეცეს 1.225 მილიონი მანეთი სახელმწიფო დახმარება.

სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ბიუჯეტით წესდება 7.869 მილიონი მანეთი გასავალი, 1940 წელს დახარჯული 7.388 მილიონი მანეთის ნაცვლად. სოციალური დაზღვევის სახსრებიდან პენსიებისა და დახმარების გასაცემად განკუთვნილი ხარჯები შეადგენს 5.904 მილიონ მანეთს, ბავშვების მომსახურების ხარჯები შეადგენს 664 მილიონ მანეთს და დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების ხარჯები — 1.022 მილიონ მანეთს.

#### მმართველობის ხარჯები

გასულ წელს მნიშვნელოვნად შემცირდა სამმართველო აპარატის ხარჯები. ადმინისტრატიულ-სამმართველო ხარჯების შემცირებით მიღებულმა ეკონომიამ 2 მილიარდ მანეთს გადააჭარბა.

მაგრამ სახელმწიფო აპარატის გამარტივებისა და გაიაფების ამოცანა მეტად აქტუალური რჩება 1941 წელსაც. განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს საწარმოთა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ორგანიზაციათა სამმართველო აპარატის შემცირებასა და გამარტივებას. ამ აპარატში ჯერ კიდევ დიდი ზედმეტობაა.

XVIII პარტკონფერენციაზე მოყვანილი იყო ცნობები სამრეწველო საწარმოებში მოსამსახურეთა რაოდენობის უზომო ზრდის შესახებ.

მოსამსახურეთა რაოდენობის უზომოდ ზრდა იმით აიხსნება, რომ პატარა ქარხნებს, როცა ისინი თავის სამმართველო აპარატს აწყობენ, ზუსტად გადააქვთ მსხვილ საწარმოთა სტრუქტურა. მაგალითად, დონის როსტოვის ქარხანა „კრასნი აქსაიში", სადაც 2.690 მუშაა, მმართველობის აპარატი ისევე 30 განყოფილებისაგან შესდგება, როგორც აპარატი ქარხანა „როსტსელმაშისა", სადაც 11,5 ათასი მუშაა.

ფეხსაცმლის ფაბრიკა „სკოროხოდის" სამმართველოს გასულ წელს ჰყავდა 910 მოსამსახურე, რომელთა შორის 222 უფროსი იყო; მმართველობის აპარატი დაყოფილი იყო 143 განყოფილებად.

ქარხნის სამმართველოების, ტრესტების, მთავარი სამმართველოების გაბერილ აპარატში საკანცელარიო სამუშაოზე დაბანდებულია საკმაოდ ბევრი კვალიფიციური ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი, რომლებიც საჭირონი არიან წარმოებაში.

1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2 მილიარდი მანეთი ეკონომია, რაც მიღებულ უნდა იქნას დაწესებულებებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში სამმართველო აპარატის შემდგომი შემცირებით. ამ დავალების შესასრულებლად ფინანსიურმა ორგანოებმა ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესონ თავიანთი მუშაობა შტატების ხაზით.

დღემდე სსრ კავშირის ფინსახკომის საშტატო სამმართველო და ადგილობრივი საშტატო ინსპექციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობდნენ.

#### აღრიცხვისა და ანგარიშგების გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს VI სესიაზე დეპუტატები სამართლიანად აღნიშნავდნენ აღრიცხვისა და ანგარიშგების მეტისმეტ სირთულესა და სიდიდეს. უნდა ითქვას, რომ ეს ნაკლოვანებანი ჯერ კიდევ მთლიანად არ აღმოფხვრილა.

საწარმოებში აღრიცხვის გამარტივებისათვის მთავრობამ გააუქმა ხელფასის ყოველდღიური გამოანგარიშება, — მარტო ამან მნიშვნელოვნად გააადვილა საანგარიშო აპარატის მუშაობა.

უნდა უზრუნველვყოთ საანგარიშო მუშაობის მაქსიმალური რაციონალიზაცია და ამის საფუძველზე მივაღწიოთ საანგარიშო აპარატის მკვეთრს შემცირებას საწარმოებში.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მითითებით საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა სამეურნეო ორგანიზაციათა მიმდინარე საბუღალტრო ანგარიშგება შეამცირა 60-ზე მეტი პროცენტით. მთავრობის დადგენილების საფუძველზე სახალხო კომისარიატები აწარმოებენ საწარმოთა პირველადი დოკუმენტაციის გადასინჯვას მისი შემცირების მიზნით. ეს მუშაობა ზოგიერთ სახალხო კომისარიატში უკვე მთავრდება.

## IV. რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტები ასახავენ ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის ძირითადს პრინციპებს და უზრუნველჰყოფენ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა კეთილდღეობისა და კულტურის შემდგომს ზრდას.

რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით ხარჯების საერთო მოცულობა 1941 წლისათვის წესდება 46 მილიარდი მანეთის რაოდენობით ნაცვლად 41 მილიარდი მანეთისა, რაც დახარჯულია მოკავშირე რესპუბლიკების 1940 წლის ბიუჯეტების შესრულების წინასწარი შედეგების მიხედვით.

წინადადება შემოგვაქვს ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების 1941 წლის ბიუჯეტების მოცულობა (1942 წლის 1 იანვრისათვის დაგეგმილი საბიუჯეტო თანხების ნაშთების გამოკლებით) დამტკიცებულ იქნას შემდეგი რაოდენობით (მილიონ მანეთობით):

| | |
|---|---|
| რუსეთის სფსრ | 24.833 |
| უკრაინის სსრ | 8.220 |
| ბელორუსიის სსრ | 2.110 |
| აზერბაიჯანის სსრ | 1.048 |
| საქართველოს სსრ | 1.220 |
| სომხეთის სსრ | 518 |
| თურქმენეთის სსრ | 531 |
| უზბეკეთის სსრ | 1.604 |
| ტაჯიკეთის სსრ | 581 |
| ყაზახეთის სსრ | 1.717 |
| ყირგიზეთის სსრ | 476 |
| კარელია-ფინეთის სსრ | 493 |
| მოლდავეთის სსრ | 447 |
| ლიტვის სსრ | 801 |
| ლატვიის სსრ | 894 |
| ესტონეთის სსრ | 511 |
| სულ | 46.004 |

ხარჯების გადიდებასთან ერთად იზრდება მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტების საშემოსავლო ბაზაც. მატულობს შემოსავალი, რომელიც პირდაპირ არის დამოკიდებული რესპუბლიკური მრეწველობისა და მეურნეობის სხვა დარგების საწარმოო მუშაობის შედეგებზე.

მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო ბიუჯეტების ხარჯები მეურნეობის დარგების მიხედვით ნაწილდება შემდეგნაირად (მილიონ მანეთობით):

| დარგი | თანხა |
|---|---|
| სულ | 46.004 |
| მათ შორის: | |
| 1. სახალხო მეურნეობა | 9.743 |
| აქედან: | |
| მრეწველობა | 2.465 |
| სოფლის მეურნეობა | 3.052 |
| კომუნალური და საბინაო მეურნეობა | 2.897 |
| 2. სოციალურ-კულტურული ღონისძიებანი | 30.708 |
| აქედან: | |
| განათლება | 17.924 |
| ჯანმრთელობის დაცვა და ფიზკულტურა | 9.814 |

„ადგილობრივი ნედლეულისაგან ფართო მოხმარების საქონლისა და სურსათის წარმოების გადიდების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ განსაკუთრებით ხელსაყრელი შესაძლებლობანი შექმნა იმისათვის, რომ თვითეულმა რესპუბლიკამ, ოლქმა, რაიონმა მაქსიმალურად გაშალოს ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და ამით უკეთესად დააკმაყოფილოს მოსახლეობის გაზრდილი მოთხოვნილებანი.

ადგილობრივი—რაიონული და საქალაქო-მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციისათვის დაწესებულია დიდი შეღავათები ბრუნვის გადასახადის, ბიუჯეტში მოგების ანარიცხებისა და საშემოსავლო გადასახადის დარგში.

ამრიგად შექმნილია ყველა პირობა ადგილობრივი მრეწველობის განუხრელი აღმავლობისა და სარეწაო კოოპერაციის განმტკიცებისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებით დიდი ასიგნობანი—3 მილიარდზე მეტი მანეთი—არის გათვალისწინებული სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის. ამასთანავე მხედველობაში მიღებულია საჭირო ხარჯები იმისათვის, რომ განხორციელებულ იქნას სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებანი შუა აზიის და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების, სარწყავი ფართობების გადიდებისა და მოსავლიანობის გაზრდის შესახებ.

ბიუჯეტი უდიდეს დახმარებას უწევს ამ რესპუბლიკათა კოლმეურნეების სახალხო ინიციატივას წყლისათვის ბრძოლაში. მაგალითად, უზბეკეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტით წყალთა მეურნეობის ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 166 მილიონი მანეთის ასიგნება. ყირგიზეთის რესპუბლიკის ბიუჯეტით წყალთა მეურნეობის ღონისძიებებისათვის ნავარაუდევია 67 მილიონი მანეთის დახარჯვა.

მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებში სახალხო მეურნეობის ფინანსირების ხარჯებში დიდი ადგილი უჭირავს კომუნალური და საბინაო მეურნეობისათვის გათვალისწინებულ ხარჯებს. ამასთანავე სასოფლო რაიონული ცენტრების კეთილმოწყობისათვის ხარჯები საშუალოდ თვითეულ რაიონზე მატულობს 25 ათასი მანეთიდან 35 ათას მანეთამდე.

ინდივიდუალური საბინაო მშენებლობისათვის და იმ სახლების რემონტისათვის, რომლებიც მშრომელთა საკუთრებაში იმყოფებიან, კომუნალური ბანკების სისტემის მეშვეობით განზრახულია გაიცეს 1941 წელს 300-მდე მილიონი მანეთის კრედიტები.

სსრ კავშირის 1941 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისათვის ასიგნებული 47,8 მილიარდი მანეთიდან 30,7 მილიარდი მანეთი ანუ 64,2 პროცენტი გადის მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებით. გასულ წელთან შედარებით ხარჯები სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე მატულობს 2,7 მილიარდი მანეთით. ეს მრავალმილიარდიანი დაბანდებანი ხელს შეუწყობენ სსრ კავშირის ხალხთა კულტურის კიდევ უფრო მეტად აყვავებას.

#### ახალ მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისათვის დასამტკიცებლად პირველად არის წარმოდგენილი ჩვენი ახალგაზრდა მოკავშირე რესპუბლიკების — კარელია-ფინეთის, მოლდავეთის, ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის ბიუჯეტები.

ახალ მოკავშირე რესპუბლიკათა 1941 წლის ბიუჯეტები წარმოადგენენ ამ რესპუბლიკებში გაშლილი სოციალისტური მშენებლობის მტკიცე ფინანსიურ ბაზას. ეს ბიუჯეტები, საკავშირო ბიუჯეტის ასიგნობათა გარდა, დაწესებულია შემდეგი რაოდენობით: კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკისა — 493 მილიონი მანეთი, მოლდავეთის სს რესპუბლიკისა — 447 მილიონი მანეთი, ლიტვის სს რესპუბლიკისა — 801 მილიონი მანეთი, ლატვიის სს რესპუბლიკისა— 894 მილიონი მანეთი, ესტონეთის სს რესპუბლიკისა — 511 მილიონი მანეთი.

ამ რესპუბლიკათა ბიუჯეტებით სახსრების მიმართება შეესაბამება მათი მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგის უსწრაფესი განვითარების მოთხოვნებს.

კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში 163 მილიონზე მეტი მანეთი (ბიუჯეტის 33 პროცენტზე მეტი) გადაიდება ხე-ტყის დამუშავების მნიშვნელოვნად გაზრდილი პროგრამის დასაფინანსებლად. გარდა ამისა, საკავშირო ბიუჯეტით გაიცემა დიდი სახსრები ცელულოზ - ქაღალდის მრეწველობის განსავითარებლად და აღსადგენად.

მოლდავეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტით სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად განკუთვნილი სახსრები ძირითადად ხმარდება მევენახეობის მრეწველობის განვითარებას და მევენახეობისა და მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობების მოწყობას.

ლიტვის სს რესპუბლიკის ბიუჯეტით 86 მილიონზე მეტი მანეთი გაიცემა არსებული სამრეწველო საწარმოების აღსადგენად და გასაფართოებლად და ახალ სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისათვის. ლიტვის სს რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა ხარჯები (საკავშირო ბიუჯეტის ასიგნობებთან ერთად) შეადგენენ 260,5 მილიონ მანეთს, აქედან 99,6 მილიონი მანეთი დაიხარჯება მრეწველობის ხაზით, დაახლოებით 65 მილიონი მანეთი ხმარდება რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ლატვიის სს რესპუბლიკაშიც ბიუჯეტით განკუთვნილია დიდი ასიგნობანი სოციალისტური მრეწველობის განსავითარებლად. რესპუბლიკაში კაპიტალურ სამუშაოთა მოცულობა (იმ სამუშაოთა ჩათვლით, რომლებიც საკავშირო ბიუჯეტით ფინანსდება) 1941 წლისათვის განსაზღვრულია 300 მილიონი მანეთით. ამ თანხის ნახევარზე მეტი გაიცემა სამრეწველო საწარმოთა მშენებლობისა, რეკონსტრუქციისა და გაფართოებისათვის.

დიდი სახსრები დაბანდდება ესტონეთის სს რესპუბლიკის მრეწველობაშიც. ამ რესპუბლიკაში კაპიტალური ხარჯების საერთო თანხა (საკავშირო ბიუჯეტის ასიგნობებთან ერთად) შეადგენს 241 მილიონ მანეთს. აღნიშნული თანხიდან მრეწველობაში დაბანდდება 112,3 მილიონი მანეთი, უმთავრესად სათბობ (ფიქალის), საფეიქრო და ქიმიურ მრეწველობაში.

მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებით მნიშვნელოვანი სახსრები გადაიდება სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად. ახალ მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტებით ამ მიზნებისათვის განკუთვნილი ხარჯების საერთო თანხა შეადგენს 1.604 მილიონ მანეთს, აქედან განათლებას ხმარდება 959 მილიონი მანეთი და ჯანმრთელობის დაცვას 483 მილიონი მანეთი.

წელს 1.283 ათასი ბავშვი ისწავლის ახალ რესპუბლიკათა სკოლებში. 34.000 კაცი — ტექნიკუმებში, დაახლოებით 26 ათასი კაცი— უმაღლეს სასწავლებლებში.

სახალხო განათლების ხაზით განსაკუთრებით ფართო ღონისძიებებია დასახული საბჭოთა ბესარაბიაში. და ეს გასაგებიცაა. რუმინეთის სამხედრო ხროვის და მემამულეთა ბატონობის დროს ბესარაბიის მოზრდილი მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო.

განზრახულია 1941 წელს მოლდავეთის სს რესპუბლიკის ბიუჯეტით განათლებისათვის დაიხარჯოს 185,2 მილიონი მანეთი. დაპროექტებულია 50 სკოლის აგება, აქედან 47 სკოლისა — სოფლად. 100 ათასზე მეტი კაცი ისწავლის წერა-კითხვის უცოდინართა და მცირემცოდნეთა სკოლებში. 715 კლუბი და 1.018 ბიბლიოთეკა გაუწევს კულტურულ მომსახურებას საბჭოთა მოლდავეთის მშრომელებს.

ასეთია ძირითადი ციფრები, რომლებიც ახასიათებენ სახალხო მეურნეობისა და კულტურის განვითარებას ახალ სოციალისტურ მოკავშირე რესპუბლიკებში.

○

#### თავდაცვის დაფინანსება

ამხანაგო დეპუტატებო! საბჭოთა კავშირი მშვიდობიანობის პოლიტიკას ეწევა. მაგრამ მას არ შეუძლია მხედველობაში არ იქონიოს ის, რაც საზღვარგარეთ ხდება. შფოთიანი საერთაშორისო ვითარება ჩვენს სახელმწიფოს ვალდებულს ხდის ყოველგვარად განამტკიცოს სოციალისტური სამშობლოს თავდაცვისუნარიანობა. სსრ კავშირის მთავრობას წინადადება შემოაქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვის საჭიროებისათვის გაღებულ იქნას 1941 წ. სახელმწიფო ბიუჯეტით 70.900 მილიონი მანეთი და სთხოვს უმაღლეს საბჭოს დაამტკიცოს ეს თანხა. **(ხანგრძლივი ტაში).**

რწმენას გამოვთქვამ, რომ უმაღლესი საბჭოს დეპუტატები ერთსულოვნად დაამტკიცებენ თავდაცვის ასიგნობებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჩვენი წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის კიდევ უფრო მეტად განმტკიცებას **(ტაში).**

○

მთელი საბჭოთა აპარატის, ყველა სამეურნეო ორგანიზაციის, ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებით შესრულოს სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი. ამით კიდევ უფრო მეტად გავადიდებთ სოციალიზმის ქვეყნის სიმდიდრეს, მის ძლიერებას, იმ ქვეყნისა, რომელიც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მიდის წინ კომუნიზმისაკენ. **(ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

## უკანასკნელი ცნობები

### სამხედრო ოპერაციები ხმელთაშუა ზღვის აუზში

**რომი**, 27 თებერვალი (საკდესი). იტალიის სარდლობა იუწყება: ჩრდილოეთ აფრიკაში იტალიის თვითმფრინავებმა ყუმბარა და ტყვიამფრქვევი დაუშინეს მტრის ავტოტრანსპორტსა და ბანაკებს.

აღმოსავლეთ აფრიკაში ზილმანის რაიონში დამარცხებული მტრის ჯარი უკუიქცა ბომის მიმართულებით, რუდოლფის ტბას ჩრდილოეთ-დასავლეთით. ამასთანავე ბრძოლის ველზე დასტოვა მრავალი მოკლული და სამხედრო საჭურველი.

სომალში ერთი თვის გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ იტალიის ჯარი მტრის უმეტეს ძალას იერიშს ველარ უძლებს და ბრძოლით იხევს მოგადიშოსაკენ.

**ბერლინი**, 27 თებერვალი (საკდესი). უმაღლესი სარდლობის ცნობით, გუშინ გერმანიის ავიაციის დიდი შენაერთები იტალიის ავიაგამანადგურებლების დახმარებით წარმატებით დაესხნენ თავს ლუკას აეროდრომს მალტის კუნძულზე. მოსპობილია მიწაზე მყოფი 10 ყუმბარმშენი. მრავალი სხვა თვითმფრინავი სერიოზულად არის დაზიანებული. დაიწვა ორი ანგარი. ყაზარმები და საწვავი მასალის საწყობები. საჰაერო ბრძოლაში გერმანიის ავიაციამ ჩამოაგდო მტრის 4 თვითმფრინავი, ხოლო იტალიისამ — 2 თვითმფრინავი. ხმელთაშუა ზღვაში გერმანიის ყუმბარმშენებმა ჩასძირეს სატვირთო გემი 5 ათასი ტონა წყალწყვისა და ცეცხლი წაუკიდეს ტობრუკის ნავსადგურში მდგარს ინგლისის საესკადრო ნაღმოსანს.

# მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა წარმომადგენლები გორში

### ხალხმრავალი მიტინგი ისტორიულ სახლთან

27 თებერვალს საქართველოს მშრომელთა საპატიო სტუმრები, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავის ზეიმზე მოძმე რესპუბლიკებიდან ჩამოსული დელეგაციები თბილისიდან სპეციალური მატარებლით გაემგზავრნენ ხალხთა ბელადის, დიდი **სტალინის** სამშობლო ქალაქ გორში.

ელექტრომავალი სწრაფად მიაქროლებდა მატარებელს მშრომელთა საყვარელი ქალაქისაკენ და დღის 12 საათზე მოძმე ხალხთა საუკეთესო წარმომადგენლები უკვე გორის სადგურზე იყვნენ.

პერონზე შეკრებილიყვნენ გორის პარტიულ, საბჭოთა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები. სადგურის შენობა და მთელი ქალაქი სადღესასწაულოდ იყო მორთული. გორის სადგურის მოედანზე მრავალ ათას მშრომელს მოეყარა თავი სტუმრების მოლოდინში. გამოჩნდნენ სტუმრებიც და იგრიალა ტაშმა და მისალმებათა შეძახილებმა.

— მხურვალე სალამი მოძმე ხალხთა წარმომადგენლებს გორის მშრომელებისაგან!

— მადლობა დიდ სტალინს საამური და ბედნიერი ცხოვრებისათვის!

— გაუმარჯოს ხალხთა ურღვევ სტალინურ მეგობრობას!

სადგურიდან სტუმრები გაემგზავრნენ ისტორიული სახლისაკენ, სადაც დაიბადა და ბავშვობა გაატარა ხალხთა ბელადმა დიდმა **სტალინმა**. სტუმრებთან ერთად ამ ისტორიული სახლისაკენ დაიწყეს დენა გორის მშრომელთა კოლონებმაც. რამდენიმე ხნის შემდეგ ისტორიული სახლის მახლობელი ქუჩები ხალხით აივსო.

ეზოში აღმართულ სახელდახელო ტრიბუნაზე ავიდნენ: **გ. სტურუა, ი. თავაძე, გ. კიკნაძე, გ. გორდეზიანი, კ. ციმაკურიძე, ა. კვაჭაძე, ვ. ლოლაძე, ბ. ლიუდვიგოვი, ს. დონაძე, გ. ჯაბუა, ს. ბაზანდარაშვილი, პ. კაპანაძე, გ. გლურჯიძე, ა. ციხითათრიშვილი, დ. ჯაბაური** და მოძმე ხალხთა დელეგაციების წარმომადგენლები — **ფ. რედკო, ნ. ნატალევიჩი, მ. ბაჟანი, ვ. ტელინგი**, საბჭოთა კავშირის გმირი, აკადემიკოსი **ო. შმიდტი**, აკადემიკოსები **ი. ორბელი** და **ი. მეშჩანინოვი, კარი-ნიაზოვი, მ. გორბაჩევი, უჟახოვი** და სხვ.

მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციების ჩამოსვლისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა საკ. კ. პ. (ბ) გორის რაიკომის მდივანმა ამხ. ვ. ლოლაძემ. იგი მიესალმა ქართველი ხალხის ზეიმზე დასასწრებლად ჩამოსულ სტუმრებს და სთქვა:

— ქართველი ხალხი ამაყობს განვლილი ოცი წლის მანძილზე მიღწეული გამარჯვებებით. ამ გამარჯვებებს, ამ მიღწევებს საქართველოს მშრომელები უმადლიან ლენინ-სტალინის დიად პარტიას, პირადად დიდ **სტალინს** — მთელი საბჭოთა ხალხის ისტორიულ გამარჯვებათა შთამაგონებელსა და სულისჩამდგმელს.

მაშ ყველამ შევძახოთ, ამხანაგებო:

— **გაუმარჯოს ხალხთა ბელადს, ჩვენს დიდ სტალინს!**

ბელადის სახელის ხსენებისას იგრიალა ტაშმა და შეძახილებმა სხვადასხვა ენებზე:

— გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

— სიცოცხლე და დღეგრძელობა ამხანაგ **სტალინს!**

დიდხანს გაგრძელდა ტაში და ოვაციები ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. ორკესტრი „ინტერნაციონალს" ასრულებდა.

ამხ. ლოლაძემ სიტყვა მისცა საბჭოთა კავშირის გმირს, აკადემიკოს ო. შმიდტს.

— ყოველი მხრიდან, ყოველი კუთხიდან, — დაიწყო მან, — აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან, შორეული ჩრდილოეთიდან და ქვეყნის ყველა ადგილიდან მოეშურებოდნენ საქართველოსკენ მშრომელთა წარმომადგენლები, რომ მოელოცათ ქართველი ხალხისათვის სახელოვანი ოცი წლისთავი. საბჭოთა კავშირის ხალხები განსაკუთრებული სიყვარულით არიან გამსჭვალული ქართველი ხალხისადმი და ამ სიყვარულს ქართველი ხალხისადმი ჩვენ, აქ ჩამოსული სტუმრები, განსაკუთრებული სიმძაფრით ვგრძნობთ ამ პატარა სახლთან ქალაქ გორში... აქ დაიბადა მთელი მშრომელი კაცობრიობის ნუგეში და იმედი დიდი **სტალინი**.

ამხ. შმიდტმა თავისი სიტყვა დაამთავრა შეძახილით ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად. ხელახალი სიძლიერით იგრიალა ტაშმა და ოვაციებმა დიდი სტალინის სახელის ხსენებისას.

უკრაინის მშრომელების სახელით მგრძნობიარე სიტყვა წარმოსთქვა უკრაინელმა პოეტმა მიკოლა ბაჟანმა.

— უკრაინის მრავალმილიონიან ხალხს, ისევე როგორც მთელ საბჭოთა ხალხს, — სთქვა ორატორმა, — განსაკუთრებით უყვარს ქართლის ეს ისტორიული ადგილი, საქართველოს გული — ქალაქი გორი, სადაც დაიბადა ხალხთა განმათავისუფლებელი და ბელადი — დიდი **სტალინი**.

უკრაინის მშრომელებს უყვართ ეს მიწა, ეს ბუნება, ეს ქალაქი იმიტომ, რომ აქ გაატარა თავისი ბავშვობა ჩვენმა სტალინმა.

დაე, დიდხანს, დიდხანს იცოცხლოს ჩვენდა სანუგეშოდ ამხანაგმა **სტალინმა**.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აზერბაიჯანის მშრომელთა სახელით პროფ. მ. თოფჩიბაშევმა და სომხეთის მშრომელთა სახელით აკადემიკოსმა ი. ორბელმა.

მათი სიტყვები აღსავსე იყო ძმური სიყვარულით ქართველი ხალხისადმი და დიდი სიხარულით ქართველი ხალხის ისტორიული გამარჯვებების გამო.

დიდი აღფრთოვანებით წარმოსთქვეს სიტყვები აგრეთვე ბელორუსიის მშრომელთა სახელით ორდენოსანმა პოეტმა კონდრატ კრაპივამ, მოსკოვის მშრომელთა და საბჭოთა კავშირის მწერლების სახელით პოეტმა ი. სელვინსკიმ, ლიტვის მშრომელთა სახელით იუნჩას კუჩინსკასმა, ლენინგრადის ოლქისა და ლენინის ქალაქის მშრომელთა სახელით პროფ. ოსიპოვმა, ესტონეთის მშრომელთა სახელით ვ. ტელინგმა, უზბეკეთის მშრომელთა წარმომადგენელმა მ. აშრაფიმ და ლატვიის მშრომელთა სახელით — ი. სალნისმა.

დასასრულ მიტინგმა ერთხმად მიიღო წინადადება დიდი სტალინისათვის მისალმების გაგზავნის შესახებ. მისასალმებელი დეპეშის ტექსტი, რომელიც წაიკითხა ამხ. ბ. ლიუდვიგოვმა, ხანგრძლივი ტაშითა და უდიდესი ერთსულოვნებით იქნა მიღებული.

მიტინგის შემდეგ სტუმრებმა დაათვალიერეს ისტორიული **სახლი**, სადაც დაიბადა და ყრმობის წლები გაატარა ამხანაგმა სტალინმა და გორის ყოფ. სასულიერო სასწავლებელი, სადაც სწავლობდა ამხანაგი **სტალინი**.

რამდენიმე საათის შემდეგ სტუმრები იმავე სპეციალური მატარებლით დაბრუნდნენ თბილისში.

მოძმე რესპუბლიკების მშრომელთა დელეგაციები გორში. მიტინგის ტრიბუნაზე: ამხ. ი. თავაძე, ვ. ლოლაძე, ა. კვაჭაძე, ო. შმიდტი, ნ. ნატალევიჩი და გ. სტურუა; ქვევით ლიტვის მშრომელთა დელეგაცია.

ფოტო რ. აკოფოვისა.

# საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესია

გუშინ, 27 თებერვალს, მარქს-ენგელს - ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის დარბაზში მუშაობა დაიწყო საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველმა სესიამ.

სესიის პირველი საზეიმო სხდომა მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა ნ. მუსხელიშვილმა.

სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, საბჭოთა კავშირის გმირი, აკად. ო. ი. შმიდტი, აკადემიკოსები: ი. ორბელი, ა. პალადინი, მ. ლავრენტიევი, პროფ. თოფჩიბაშევი, ამხ. ი. თავაძე, გ. კიკნაძე, მ. დელბა, პ. კოლესნიკოვი, დ. გულია, ა. ჭოჭუა, მოძმე სომხეთისა და აზერბაიჯანის რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები.

აკად. ა. ჩიქობავას წინადადებით საზეიმო სხდომა საპატიო პრეზიდიუმში ხანგრძლივი ოვაციით ირჩევს საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს მთელ შემადგენლობას ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგ **სტალინის** მეთაურობით და ამხანაგებს კ. ნ. ჩარკვიანსა და ვ. მ. ბაქრაძეს.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის საინფორმაციო მოხსენება გააკეთა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. ს. ნ. ჯანაშიამ.

მისალმებისათვის პირველი სიტყვა ეძლევა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, საბჭოთა კავშირის გმირს აკად. ო. ი. შმიდტს, რომელსაც დარბაზი განსაკუთრებით გულთბილად ეგებება.

მოძმე უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკადემიკოსმა ა. პალადინმა, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთის ფილიალის სახელით — აკად. ი. ორბელმა, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის მშრომელთა სახელით— აფხაზეთის ასსრ მშრომელთა დეპუტატების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ა. ჭოჭუამ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აზერბაიჯანის ფილიალის სახელით—პროფ. თოფჩიბაშევმა, თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივის სახელით—დოც. დ. ყიფშიძემ, საქ. კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სახელით—ი. ხუხუნაიშვილმა, მენდელეევის სახელობის სრულიად-საკავშირო ქიმიკოსთა საზოგადოების სახელით — პროფ. ო. ზვიაგინცევმა, საქართველოს უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირის სახელით ამხ. ვ. იმედაძემ და სხვ.

საზეიმო სხდომამ მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნა ხალხთა საყვარელ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, ამხანაგ **ვ. მოლოტოვს**, ამხანაგ **ლ. ბერიას**, ამხანაგებს **კ. ჩარკვიანსა და ვ. ბაქრაძეს**.

სხდომაზე გამოქვეყნებულ იქნა აგრეთვე საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის სახელზე მიღებული დეპეშები: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სომხეთისა და აზერბაიჯანის ფილიალებისაგან, აკადემიკოსების: ბაიკოვის, კაპიცას, დებორინის, ტოლმაჩოვის, ვედენეევის, გრაჩოვსკის, კრიმსკის, სტუდინსკის, ფერსმანის, შიშკინის, ციცინის, მანანდიანის, გოტიეს, ობნორსკის, გრეკოვის, პეტრუშევსკის, პროფ. ა. შესტაკოვის და სხვათაგან.

საზეიმო ნაწილის შემდეგ მოსმენილ იქნა აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის მოხსენება: „მეცნიერება საქართველოში 20 წლის მანძილზე".

დღეს იწარმოებს საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პირველი სესიის გეგმით გათვალისწინებული სასექციო სხდომები.

## პირველი მატარებელი გაგრაში

**სოხუმი** (საქ. კორ.). საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ოცი წლისთავი აფხაზეთის მშრომელებმა კიდევ ერთი დიდი გამარჯვებით აღნიშნეს. დამთავრდა შავი ზღვის რკინიგზის მშენებლობის ულამაზესი უბნის, ადლერ-გაგრის უბნის, პირველი რიგის მშენებლობა.

26 თებერვალს დილის 8 საათსა და 30 წუთზე. გაგრაში შემოვიდა პირველი მატარებელი. პირველ მატარებელს დიდძალი ხალხი შეხვდა. ამ შესანიშნავმა მოვლენამ გაგრის მშრომელებში უდიდესი სიხარული გამოიწვია.

გაგრა-ადლერის უბანზე მალე დაიწყება სამგზავრო და საბარგო მატარებლების რეგულარული მიმოსვლა.

**ზ. მერკვილაძე**

# ომი ევროპასა და აფრიკაში

(საომარი მოქმედების დღიური)

ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული ომის მთელი დროის მანძილზე ეს პირველი შემთხვევა იყო, რომ ინგლისელთა წინააღმდეგ ოპერაციებში გერმანიის სახმელეთო ჯარმა მიიღო მონაწილეობა.

24 თებერვალს დილით აჯედაბიის (ბენგაზის სამხრეთით) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ნათქვამია გერმანიის ცნობაში, გერმანიისა და ინგლისის მოტომექანიზებულ მზვერავ ნაწილებს შორის შეტაკება მოხდა. ინგლისელთა რამდენიმე მანქანა და მსუბუქი ტანკი მოსპობილია. იმავე დღეს საღამოს გერმანიის ყუმბარმშენები თავს დაესხნენ ტობრუკის ნავსადგურს (კირენაიკა). ერთი სავაჭრო გემი ძლიერ დაზიანდა. ყუმბარებმა დაანგრია აგრეთვე ზოგიერთი სანავსადგურო ნაგებობა.

ინგლისის ცნობის თანახმად, ინგლისის ჯარმა, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკაში მოქმედებს, 25 თებერვალს საღამოს დაიკავა მოგადიშო — იტალიის სომალის დედაქალაქი. მოგადიშოს ნავსადგურში შესვლა მხოლოდ პატარა გემებს შეუძლიათ. ამ ადგილას ნაოსნობა, წყალქვეშა კლდეების გამო, უხიფათო არ არის. მოგადიშო ვიწროლიანდაგიანი რკინიგზით არის დაკავშირებული ქალაქთან „აბრუცის ჰერცოგის ვილა“. იტალია-აბისინიის ომის დროს მოგადიშოს ნავსადგური ძირითად ბაზას წარმოადგენდა იტალიის ჯარისათვის, რომელიც იტალიის სომალიდან აბისინიის წინააღმდეგ მოქმედებდა. ბრავიდან, რომელიც ინგლისელებმა 23 თებერვალს დაიკავეს, მოგადიშო 150 კილომეტრზე მდებარეობს.

კერენის (ერიტრეა) რაიონში, იტალიის ცნობის თანახმად, საარტილერიო სროლა იყო. აგრეთვე მოტორიზებული ჯარის ნაწილები მოქმედებდნენ. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ინგლისის ჯარის ნაწილებმა, რომლებიც ჩრდილოეთიდან კერენს უტევენ, წინ წაიწიეს და ახლა კერენიდან 70 კილომეტრზე იმყოფებიან. იტალიის ჯარი, რომელიც უკან იხევს, კერენში მიმავალ ყველა გზას ნაღმავს. აღმოსავლეთ აფრიკაში ფრონტის ხაზი გადის კერენიდან სამხრეთით — ტანის ტბისაკენ, შემდეგ დებრა-მარკოსისა და ადის-აბებისაკენ.

ალბანეთში მხოლოდ ადგილობრივი ხასიათის ბრძოლა იყო. მდინარე შკუმბის ხეობასა და ბერატ-ელბასანის სექტორში იტალიის ჯარის დიდი გადაჯგუფება ხდება. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, მეომარ მხარეთა ავიაცია გაძლიერებულ აქტივობას იჩენს. როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 25 თებერვალს იტალიის ავიაციამ ინტენსიურად დაუშინა ყუმბარა საბერძნეთის პოზიციებს, რომლებიც კორჩა-ფლორინის გზის გასწვრივ მდებარეობენ, ინგლის-საბერძნეთის ავიაციამ თავის მხრივ ყუმბარა დაუშინა ბერატ-ელბასანის გზას, აგრეთვე იტალიელთა პოზიციებს მდინარე დევოლის ხეობაში და ოსტროვიცის მაღლობებზე.

ინგლისის ფრონტზე ავიაციის მოქმედება გრძელდება. 25 თებერვალს ღამით, — ნათქვამია გერმანიის სარდლობის ცნობაში, — გერმანიის თვითმფრინავებმა იერიში მიიტანეს სამხედრო ობიექტებს, სანავსადგურო ნაგებობებსა და აეროდრომებზე აღმოსავლეთ ინგლისში. იმავე ღამით ინგლისის ავიაციის დიდი შენაერთები თავს დაესხნენ რურის ოლქის სამრეწველო ობიექტებს. ინგლისის ავიაციის სამინისტრო აგრეთვე იუწყება, რომ ინგლისის თვითმფრინავებმა ყუმბარა დაუშინეს გერმანიის მიერ ოკუპირებული საფრანგეთის სანაპიროზე მდებარე ნავსადგურებს.

26 თებერვალი (საკდესი).

## გერმანიის სატანკო ნაწილები ლიბიაში

**ბერლინი,** 26 თებერვალი (საკდესი). გაზეთ „დანციგერ ფორპოსტენმა“ 25 თებერვლის ნომერში დიდი სათაურით მოათავსა თავისი რომაელი კორესპონდენტის ცნობა: „გერმანიის ტანკები ლიბიაში აიძულებენ უეიველს თავი დაიცვას“.

ცნობაში აღნიშნულია, რომ ამჟამად ტრიპოლის ქუჩებში შეხვდებით ბევრ ჯარისკაცს, რომელთა შორის გერმანელი ჯარისკაცებიც არიან. იტალიისათვის დახმარების აღმოსაჩენად სიცილიაში იმყოფებიან გერმანიის საავიაციო ნაწილები, ხოლო ლიბიაში — გერმანიის სატანკო ნაწილები, რომლებმაც უკვე მიიღეს მონაწილეობა საომარ მოქმედებაში გენერალ უეიველის არმიის წინააღმდეგ.

## გაიდა საბერძნეთ-ალბანეთის ფრონტზე და ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებული საომარი მოქმედების შესახებ

**რომი,** 26 თებერვალი (საკდესი). იტალიის გაზეთმა „ჯორნალე დ'იტალიამ“ 25 თებერვლის ნომერში მოათავსა გაიდას მოწინავე სტატია, რომელიც საბერძნეთ-ალბანეთის ფრონტზე და ჩრდილოეთ აფრიკაში წარმოებულ საომარ მოქმედებას მიეძღვნა. ეხება რა იტალია-საბერძნეთის ომს, გაიდა აცხადებს, რომ „იტალიელთა მოქმედება, რაც მოულოდნელად და მხოლოდ მცირე ძალების გამოყენებით დაიწყო, მტრის მატერიალურ უპირატესობას წააწყდა“. ავტორის აზრით, „საბერძნეთმა მხოლოდ ერთგვარი ტაქტიკური წარმატების მიღწევა შესძლო“, რის შემდეგ „საბერძნეთ - ალბანეთის ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა“.

ამზადებდა რა შეტევას ჩრდილოეთ აფრიკაში, — ნათქვამია შემდეგ სტატიაში, — იტალია აგრეთვე ინგლისის შეიარაღებულ ძალთა მნიშვნელოვანი უპირატესობის წინაშე აღმოჩნდა. გაიდას სიტყვით, გენერალ უეიველს ჩრდილოეთ აფრიკაში ჰყავს 20 დივიზია და დიდძალი ჯავშანსატანკო და მოტომექანიზებული ნაწილები. ამასთან „ინგლისის მძიმე არტილერიას, რაც სწრაფმავალი მანქანებით გადააქვთ, უეჭველია, დიდი უპირატესობა ჰქონდა იტალიის არტილერიის წინაშე, რომელიც უფრო ნელია და ნაკლებად ეგუება უდაბნოში ხანგრძლივ გადატანას“.

ამტკიცებს რა, რომ ინგლისელებმა მაინც ვერ შესძლეს ვერავითარი არსებითი შედეგის მიღწევა, ავტორი განაგრძობს: „მრავალი დოკუმენტიდან სჩანს, რომ გენერალი უეიველი, რომელსაც თავისი ძალების უპირატესობის იმედი ჰქონდა, ფიქრობდა 20 დღეში მისულიყო ტრიპოლიმდე“, მაგრამ იტალიელთა წინააღმდეგობის შემდეგ „უეიველის ჯარი ტრიპოლიტანიაში იტალიის თავდაცვის პირველი ხაზებიდან 300 კილომეტრზე იმყოფება“.

## ოკუპირებული ზონის გერმანიის საზღვაო ფლოტის სარდლობის დაღუპვა

**ბერლინი,** 26 თებერვალი (საკდესი). როგორც გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, 24 თებერვალს უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა ოკუპირებული ზონის გერმანიის საზღვაო ფლოტის სარდალი ვიცე-ადმირალი ლოტარ ფონ არნოლდ დე ლა პერიერი. როგორც შემდეგ გერმანიის საინფორმაციო ბიურო იუწყება, ლოტარ ფონ არნოლდ დე ლა პერიერისადმი მიძღვნილ ნეკროლოგში გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ადმირალი რედერი აღნიშნავს, რომ გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა დაღუპული ვიცე-ადმირალის სახით ერთერთი გამოჩენილი საზღვაო ოფიცერი დაკარგა.

## ინგლის-ამერიკის ურთიერთობა

**ნიუ-იორკი,** 26 თებერვალი (საკდესი). როგორც გაზეთ „დეილი მირორის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი იუწყება, ჰოპკინსმა რუზველტს განუცხადა, რომ ჩერჩილმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას სთხოვა ნება დართონ ინგლისს შეაკეთოს თავისი სამხედრო გემები ამერიკის დოკებში, აგრეთვე მიჰყიდონ ან იჯარით მისცენ პატარა სატორპედო კატარღები, რომლებსაც შეუძლიათ ნაღმების ღრმად ჩაწყობა.

ამას წინათ, — სწერს კორესპონდენტი, — რუზველტმა განკარგულება გასცა მცირე სატორპედო კატარღების კიჩოსის კონსტრუქციის შეცვლის შესახებ. წინანდელი კონსტრუქცია ამ კატარღებს ძალიან ამსუბუქებდა; ამ კატარღების გამოყენება შეუძლებელი იყო ლა-მანშში ოპერაციებისათვის.

## იტალიის სომალი

(ცნობა)

იტალიის სომალი არის კოლონია, რომელიც იტალიამ გასული საუკუნის დამლევს მიიერთა. იტალიის სომალი მდებარეობს სომალის ნახევარკუნძულის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე; მას აკრავს ადენის ყურე და ინდოეთის ოკეანე; ჩრდილოეთ-დასავლეთით სომალი ესაზღვრება აბისინიასა და ბრიტანეთის სომალს, ხოლო დასავლეთით — ინგლისის კოლონია კენია. იტალიის სომალის უკავია 600 ათასი კვადრატული კილომეტრი ტერიტორია. მოსახლეობა 1936 წელს 1.300 ათას კაცს შეადგენდა.

უმნიშვნელოვანესი დასახლებული ცენტრია: მოგადიშო—დედაქალაქი და მთავარი ნავსადგური ინდოეთის ოკეანის სანაპიროზე (58 ათასი მცხოვრები), კიზმაიო (5 ათასი მცხოვრები), ბრავა (5 ათასი მცხოვრები), მერკა (8 ათასი მცხოვრები).

იტალიის სომალის მოსახლეობა უმთავრესად სოფლის მეურნეობას მისდევს. უკანასკნელი წლების განმავლობაში იტალიამ დიდი ყურადღება მიაქცია კოლონიაში მებამბეობისა და ზეთოვანი კულტურების განვითარებას.

იტალიის სომალი მესაქონლეობის უდიდესი ბაზაა იტალიისათვის. სომალში არის 4 მილიონამდე სული საქონელი, აქედან 1 მილიონი—მსხვილფეხა რქიანი საქონელი, 800 ათასი აქლემი და 2 მილიონამდე წვრილფეხა რქიანი საქონელი.

კოლონიის მთელი მიწა იტალიის მთავრობის საკუთრებად ითვლება. ძველი მცხოვრებნი — გლეხები ხელისუფლებისაგან მიწის სარგებლობის სპეციალურ ნებართვას იღებენ.

იტალიის სომალის მრეწველობა შესდგება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გადამამუშავებელი რამდენიმე ასეული პატარა ხელოსნური საწარმოსაგან.

ადენის ყურე
ბრიტანეთის სომალი
აბისინია
სომალი
ობია
იტალიის
მოგადიშო
მერკა
ბრავა
ინდოეთის ოკეანე
კენია

არის აგრეთვე [illegible] და ხე-ტყის სახერხი საწარმოები. სანაპიროზე სწარმოებს მარილის მოპოვება (დაახლოებით 200 ათასი ტონა წელიწადში), რომელიც ინდოეთში გააქვთ. იტალიის სომალის მდიდარი ბუნებრივი მთამადნეულის დამუშავება თითქმის არა ხდება. [illegible] და სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტი უმთავრესად იტალიაში გააქვთ.

26 თებერვალი.

## ჰიტლერის სიტყვა

**ბერლინი,** 24 თებერვალი (საკდესი). გერმანიის საინფორმაციო ბიურო გადმოგვცემს, რომ დღეს მიუნხენში ნაციონალ - სოციალისტური პარტიის დაარსების 21 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე სიტყვით გამოვიდა რაიხსკანცლერი ჰიტლერი.

თავის სიტყვის დასაწყისში ჰიტლერი დაწვრილებით შეჩერდა ნაციონალ-სოციალისტური პარტიის წარმოშობის ისტორიასა და მისი განვითარების ძირითად ეტაპებზე.

შემდეგ ჰიტლერი შეეხო საერთაშორისო ხასიათის პრობლემებს. ილაპარაკა რა გერმანიისა და იტალიის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ, ჰიტლერმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ორივე სახელმწიფო დაკავშირებულია მჭიდრო და ურღვევი მეგობრობით და რომ მათი კავშირი განუყრელია. თუ ერთ მათგანს საქმე ცუდად ექნა, სთქვა ჰიტლერმა, მაშინ მას მეორე დაეხმარება. იყო დრო, როდესაც იტალია ხელფეხს უბორკავდა მტრის მნიშვნელოვან ძალებს. მან შეაჩერა ინგლისის მრავალრიცხოვანი გემები, შებოჭა ინგლისის დიდძალი თვითმფრინავი და რიცხობრივად მეტი სახმელეთო შეიარაღებული ძალების ბრიტანეთის კოლონიებში — ჩრდილოეთ აფრიკაში.

შემდეგ ჰიტლერი შეჩერდა ინგლისის წინააღმდეგ წარმოებული საომარი მოქმედების პერსპექტივებზე და განაცხადა: ზღვაში ჩვენი ბრძოლა შეიძლება მხოლოდ ახლა დაიწყოს. ჩვენ გვინდოდა ჯერ გაგვეწვრთნა ახალი ეკიპაჟები წყალქვეშა ნავებისათვის, რომლებსაც ჩვენ ახლა ავამოქმედებთ. წყალქვეშა ნავები რომ მოქმედებას ნამდვილად დაიწყებენ, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ორი საათის წინ მიღებულია სამხედრო-საზღვაო ფლოტის უმაღლესი სარდლობის ცნობა იმის შესახებ, რომ 2 უკანასკნელი დღის განმავლობაში ჩვენმა გემებმა და წყალქვეშა ნავებმა ჩასძირეს მტრის გემები 215 ათასი ტონა წყალწყვისა. მაგრამ მარტიდან და აპრილიდან ინგლისელები სულ სხვა რასმესათვის უნდა მოემზადონ. მაშინ ისინი შეიტყობენ — გვეძინა თუ არა ჩვენ ზამთარში და ვინ უფრო უკეთ გამოიყენა ეს დრო. სადაც არ უნდა გამოჩნდნენ ინგლისელები კონტინენტზე, ჩვენ მაშინვე გამოვალთ მათ შესახვედრად. სადაც არ უნდა გამოჩნდნენ ინგლისის გემები, მათ წინააღმდეგ იმოქმედებენ ჩვენი წყალქვეშა ნავები, ვიდრე გადამწყვეტი ჟამი არ დაჰკრავს.

შემდეგ ჰიტლერმა სთქვა: ჩვენ არასოდეს არ დაგვისახავს ასეთი მიზნები: 1 მარტს, ან 15 ივნისს ანდა 7 სექტემბერს ესა და ეს უნდა მოხდესო. ეს მხოლოდ ჩვენი მტრების ჟურნალისტებმა იციან. ომის დროს მათ არაერთხელ უწინასწარმეტყველებიათ გერმანიის დამარცხება. შემოდგომაზე ისინი ამბობდნენ: თუ ახლა ჯარი არ გადმოსხეს, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება; 1941 წლის გაზაფხულზე ინგლისი შეტევას დაიწყებს კონტინენტზეო. მე კვლავ ველოდები ინგლისის ამ შემოტევას. ეს შემოტევა ინგლისელებმა სხვა ადგილას გადაიტანეს. უნდა დავარტყათ ინგლისელებს იქ, სადაც ჩვენ მათ ვიპოვით. ჩვენ კი მათ ვიპოვით სადაც არ უნდა გაემართონ ისინი. ჩვენ მათ მივუსწრებთ იქ, სადაც დარტყმა მათთვის ყველაზე გამანადგურებელი იქნება.

ჰიტლერმა განაცხადა, რომ ჩატარებულ ღონისძიებათა შედეგად გერმანიის არმიის ორგანიზაცია და შეიარაღება მნიშვნელოვნად გაძლიერდა და რომ 1918 წელი არასოდეს არ განმეორდება. ჩვენ, სთქვა ჰიტლერმა დასასრულ, ბრძოლის ახალი წელი მოგველის. ჩვენ ვიცით, რომ იგი დიდ გადაწყვეტილებებს მოგვიტანს. და რწმენით შევყურებთ მომავალს.

## მუსოლინის სიტყვა

**რომი,** 24 თებერვალი (საკდესი). გუშინ რომში შავხალათიანთა კრებაზე სიტყვით გამოვიდა მუსოლინი. იტალია, — განაცხადა მუსოლინიმ, ომის მდგომარეობაში იმყოფება უკვე 6 წელიწადია, ე. ი. 1935 წლის დამდეგიდან. საომარ მოქმედებამდე, რაც 1939 წლის სექტემბერში დაიწყო, იტალიამ უკვე ორი ომი გადაიხადა, რაც მას ძალღონის უდიდეს დაძაბვად დაუჯდა. 1939 წლის ომის დასაწყისისათვის იტალია არ ყოფილა მზად ომში ჩასაბმელად და ამიტომ მან ომი მხოლოდ 1940 წლის ივნისში დაიწყო. მაგრამ, სთქვა მუსოლინიმ, ჩვენ არ შეგვეძლო გველოდნა, ვიდრე სავსებით მოვემზადებოდით იმიტომ, რომ „ისტორიამ ყელში ხელი წაგვიჭირა“.

აღნიშნა რა შემდეგ, რომ ომში ჩაბმით იტალიამ მტრის დიდი ძალები შეაჩერა, მუსოლინი დაწვრილებით შეჩერდა ლიბიის პლაცდარმის მომზადებაზე, რაც მთელი რიგი წლების განმავლობაში ტარდებოდა. ფაშიზმის მიერ დაპყრობილ ლიბიას სთქვა მუსოლინიმ, ყოველთვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ პუნქტად ვთვლიდით. 1937 წლის 1 ოქტომბრისა და 1941 წლის 31 იანვრის შუა პერიოდში ლიბიაში გაიგზავნა 14 ათასი ოფიცერი და 396 ათასზე მეტი ჯარისკაცი. იქ შეიქმნა ორი არმია, მე-5 და მე-10 არმიები. მე-10 არმია 10 დივიზიისაგან შესდგებოდა. ლიბიაში აგრეთვე გაიგზავნა ყოველგვარი ყალიბისა და ტიპის 1.924 ქვემეხი, 15.306-ზე მეტი ტყვიამფრქვევი, 11 მილიონი საარტილერიო ყუმბარა, 1 მილიარდზე მეტი ვაზნა, 127 ათასი ტონა საინჟინრო ქონება, 24 ათასი ტონა ტანისამოსი, 759 ტანკი, 9.584 მექანიზებული და 4.809 მოტორიზებული ერთეული. ციფრები მოწმობენ, რომ მომზადება გულმოდგინედ ჩატარდა. იგივე უნდა ითქვას აღმოსავლეთ აფრიკაზედაც. მაგრამ, განაგრძობს მუსოლინი, ინგლისმა ეგვიპტეში თავი მოუყარა 15 დივიზიას, დიდძალ ტანკებს და 9 დეკემბერს დაწყებული ბრძოლის შედეგად მტერმა, რომელმაც ჩვენ რამდენიმე დღით გაგვისწრო, ბენგაზი მიიღო.

თვალთმაქცობა იქნებოდა, აღნიშნა შემდეგ მუსოლინიმ, უარგვეყო ან შეგვემცირებინა ის ფაქტი, რომ მტერმა ბრძოლა მოიგო. ლიბიაში მე-10 არმია თითქმის მთლიანად ჩავარდა მთელი თავისი ხალხითა და იარაღით. მე-5 საჰაერო ესკადრა თითქმის სავსებით იქნა მოსპობილი.

კონტინენტზე, სთქვა მუსოლინიმ, დიდი ბრიტანეთის უკანასკნელი დასაყრდენი იყო და არის საბერძნეთი, ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც არ სურს უარი სთქვას ინგლისის გარანტიებზე, და ამიტომ საჭირო იყო მისთვის ჭკუის სწავლება. მუსოლინიმ აღნიშნა საბერძნეთის არმიის დიდი ზარალი ალბანეთში, აგრეთვე ის, რომ ინგლისელებმა მნიშვნელოვნად შეამცირეს თავიანთი ზარალი კირენაიკაში. განაცხადა რა, რომ, ტარანტოდან დაწყებული, ომიანობის ამბები იტალიის სასარგებლოდ არ ყოფილა, მუსოლინიმ ამასთან ერთად ხაზგასმით აღნიშნა: მართალია, მოგვიხდება შეუპოვარი და ხანგრძლივი ბრძოლა, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, ღერძის სახელმწიფოების გამარჯვება უზრუნველყოფილია და იტალია გერმანიას გაჰყვება ბოლომდე. გერმანელებმა იციან, რომ იტალია უმკლავდება მილიონ ჯარისკაცს, 1.500-2.000 თვითმფრინავს, ამდენივე ათასი ზარბაზნისა და 500 ათასი ტონა წყალწყვის სამხედრო გემების იერიშებს. აღნიშნა რა შემდეგ გერმანიის შეიარაღებულ ძალთა მონაწილეობა ხმელთაშუა ზღვაზე წარმოებულ ბრძოლაში, მუსოლინიმ კმაყოფილება გამოსთქვა გერმანიის ჯარისკაცთა მოქმედებით სიცილიასა და ლიბიაში. შემდეგ მუსოლინიმ დაწვრილებით დაასაბუთა თავისი რწმენა ღერძის სახელმწიფოების საბოლოო გამარჯვებაში, აღნიშნა რა, რომ იტალიას, რომელსაც ამჟამად 2 მილიონი ჯარისკაცი ჰყავს, შეუძლია ერთი წლის განმავლობაში თავისი არმია 4 მილიონ ჯარისკაცამდე აიყვანოს. მუსოლინი განსაკუთრებით ვრცლად შეჩერდა იტალიის მოკავშირის — გერმანიის სამხედრო ძლიერებასა და ინგლისის სიძნელეებზე.

## ამერიკული საჭურვლის მიწოდება ინგლისისათვის

**ნიუ-იორკი,** 26 თებერვალი (საკდესი). ამერიკულ ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუსის“ ცნობებით, თებერვალში ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისისათვის აშენებულია 425 თვითმფრინავი. ომის დაწყების დროიდან 1940 წლის დეკემბრამდე ამერიკის შეერთებულ შტატებში ინგლისისათვის 2.189 თვითმფრინავი აშენდა. სულ ინგლისში 1.467 თვითმფრინავი გაიგზავნა.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრ სტიმსონის განცხადების თანახმად, საფრანგეთის განადგურების შემდეგ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ინგლისს მიჰყიდეს 895 ზარბაზანი, „ენფილდის“ სისტემის 865 ათასი ნახმარი შაშხანა, 24 ათასი ძველი ნიმუშის ტყვიამფრქვევი, 62 ათასი მოძველებული საავიაციო ტყვიამფრქვევი და 25 ათასი ძველი ავტომატური შაშხანა.

## გერმანიის საინფორმაციო ბიუროს ცნობა

**ბერლინი,** 26 თებერვალი (საკდესი). ეხება რა ლონდონის რადიოს ცნობას, რომ გენერალი პორო (იტალიის მეხუთე საავიაციო ესკადრის სარდალი) იძულებული გახდა მუსოლინის მიერ სიტყვის წარმოთქმის ორი დღის შემდეგ გადამდგარიყო, გერმანიის საინფორმაციო ბიურო იმოწმებს საქმეს გაცნობილ იტალიელთა წრეებს და აცხადებს: გენერალმა პორომ სარდლობა ჯერ კიდევ თებერვლის დასაწყისში გადასცა სხვას. გენერალ პოროს დიდი ნიჭის გამო, მას ახალ სამეთაურო პოსტს ჩააბარებენო.

## ტაის ახალი მოთხოვნები

**ნიუ-იორკი,** 26 თებერვალი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ტაის მთავრობამ ვიშიში ახალი მოთხოვნები გაჰგზავნა. კორესპონდენტის ცნობით, ფრანგებმა ტოკიოში მყოფ ინგლისელებსა და ამერიკელებს განუცხადეს, რომ საფრანგეთი უკუაგდებს ამ ახალ მოთხოვნებს.

შემდეგ კორესპონდენტი იუწყება, რომ იაპონელებმა ჰაიფონში (საფრანგეთის ინდო-ჩინეთი) გადმოტვირთეს 20 ათასი გალონი გაზოლინი და 200 ყუთი საავიაციო ყუმბარა.

## სამოქალაქო ურჩობის კამპანია ინდოეთში

**კაბული,** 26 თებერვალი (საკდესი). ინდოეთის გაზეთ „ტრიბიუნის“ ცნობით, სამოქალაქო ურჩობის კამპანიაში მონაწილეობისათვის სოციალისტური პარტიის (ინდოეთის ნაციონალურ კონგრესში შედის) ქალაქ რავალპინდის ადგილობრივი ორგანიზაციის მდივნის, ჯაპნის დაპატიმრების დროს, შეტაკება მოხდა მრავალათასიან ხალხსა და პოლიციას შორის. ხალხმა პოლიციას ქვა დაუშინა და დასჭრა 16 პოლიციელი. პოლიციამ ჯოხები იხმარა და სცემა 10-ზე მეტ კაცს.

## უმაღლეს სასწავლებლებში მიღება 1941 წელს

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა 24 თებერვალს დაამტკიცა 1941 წელს უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღების წესები.

სულ განზრახულია მიღებულ იქნას 178 ათასი კაცი. მისაღები გამოცდები დაწესებულია 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე, ხოლო დაუსწრებელი უმაღლესი სასწავლებლებისა და განყოფილებათათვის — 1 აგვისტოდან 20 სექტემბრამდე.

უმაღლეს სასწავლებლებში მიიღებიან მოქალაქენი 17-დან 35 წლის ასაკამდე, ხოლო დაუსწრებელ უმაღლეს სასწავლებლებში და განყოფილებებზე — ასაკის განუსაზღვრელად. შემსვლელნი ჩააბარებენ მისაღებ გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლების სპეციალობის მიხედვით. ის პირნი, რომლებმაც ათწლედი ფრიადოსნის ატესტატით დაამთავრეს, აგრეთვე ისინიც, ვინც 1941 წელს მუშფაკს და მოზრდილთა საშუალო სკოლას ყველა დისციპლინაში (გარდა ხაზვისა, ხატვისა და ფიზკულტურისა) „ფრიადი“ ნიშნებით დაამთავრებენ, უმაღლეს სასწავლებლებში უგამოცდოდ მიიღებიან. ტექნიკუმებში კურსდამთავრებულნი მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ აქვთ 3 წლის საწარმოო სტაჟი. ეს სტაჟი არ მოეთხოვებათ დაუსწრებელ და საღამოს უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთ, აგრეთვე იმ პირებსაც, რომლებიც ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ სამი წლისა და მეტი ხნის განმავლობაში წითელი არმიის ნამდვილ ვადიან სამსახურში იმყოფებოდნენ.

უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის შესახებ განცხადებანი მიიღება 20 ივნისიდან 31 ივლისამდე, დაუსწრებელ ინსტიტუტებსა და განყოფილებებზე განცხადებათა მიღება იწარმოებს 20 ივნისიდან 31 აგვისტომდე.

უმაღლესი სასწავლებლის დირექტორი ვალდებულია განცხადების მიღების დღიდან 5 დღის ვადაში აცნობოს შემსვლელს—დაშვებულია თუ არა იგი მისაღებ გამოცდებზე.

იმ შემთხვევაში, თუ თავისუფალი ვაკანსიები არის, უმაღლესი სასწავლებლების დირექტორებს უფლება აქვთ სტუდენტებად ჩარიცხონ ის პირნი, რომლებმაც გამოცდა ჩააბარეს სხვა უმაღლეს სასწავლებელში, მაგრამ მიღებული არ იქნენ ვაკანსიების უქონლობის გამო. პირველ კურსზე ჩარიცხვა უმაღლესი სასწავლებლიდან გადაყვანის წესით მისაღები გამოცდების ჩაუბარებლად არ დაიშვება. (საკდესი).

## სსრ კავშირის პროკურატურაში

პროკურატურის ორგანოებმა გამოააშკარავეს მრავალი შემთხვევა, რომ დარღვეულ იქნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულება „მოწყობილობის და მასალების სხვებისათვის მიყიდვის, გადაცვლისა და გაცემის აკრძალვის და ამ უკანონო მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისგების შესახებ“. დამნაშავეთა წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის დევნა.

მოსკოვში სამართალში მიცემული არიან სრულიად-საკავშირო თბოტექნიკური ინსტიტუტის მომარაგების განყოფილების უფროსი გ. ტ. გრეკოვი და მოსკოოპრეცის სარეწაო ტრესტის ფეხსაცმელ-გალანტერეის ფაბრიკის დირექტორი მ. ს. პრიცკერი 300 კილოგრამი საფონდო მუყაოს უკანონო ყიდვა - გაყიდვისათვის. სხვა საქმეზე პასუხისგებაში მიცემულია მოსკოვის ლუდის ქარხნის კომერციული დირექტორი კ. დ. ტროეკუროვი იმისათვის, რომ მან ა. წ. 12 და 17 თებერვალს არტელ „პრომმინვოდს“ და სერგიევსკის მინის ქარხანას მიჰყიდა 16 ტონა ქერი, რომელიც ფონდებიდან გაიცემა ლუდის წარმოებისათვის.

კალინინის ოლქის ქალაქ ველიკიე ლუკში სისხლის სამართლის პასუხისგებაში და სამართალში მიცემული არიან მ. გლეცის სახელობის ქარხნის მომარაგების ჯგუფის ხელმძღვანელი მ. ფ. ზაიცევი და კამაევსკის სოფლის საბჭოს კოლმეურნეობა „სმენის“ თავმჯდომარე ი. ტ. კუზმინი ა. წ. 10-13 თებერვალს ჩალაზე ნახშირის უკანონო გადაცვლისათვის.

ლენინგრადში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული არიან ქარხანა „ბარიკადის“ კომერციული დირექტორი ს. ს. რიშკოვი, სახლის მმართველი ა. ი. ივანოვა და საამშენებლო მრეწველობის სახალხო კომისარიატის № 4 ტრესტის კანტორის მომარაგების უფროსი ვ. ს. ზლატკინი.

რიშკოვმა ა. წ. 11 თებერვალს გაჰყიდა, ხოლო ივანოვამ იყიდა ერთი ტონა ცემენტი. იმავე დღეს რიშკოვმა ზლატკინთან მოახდინა საქონლის გაცვლის ოპერაცია.

სამართალში მიცემული არიან: ლენინის რკინიგზის „ტრანსტორგპიტის“ მოსკოვის კანტორის საამშენებლო განყოფილების უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ს. ი. ფილიმონოვი და გზათა სახალხო კომისარიატის მოსკოვის სპეციალური სახიდე კანტორის მომარაგების განყოფილების უფროსი ი. ა. ნოვიკოვი იმისათვის, რომ ა. წ. 15 თებერვალს ფილიმონოვმა უკანონოდ გაჰყიდა, ხოლო ნოვიკოვმა იყიდა 2 ტონა ფურცლოვანი საქვაბე რკინა. ა. წ. 25 თებერვალს ლენინის რკინიგზის სახაზო სასამართლომ, გაარჩია რა ეს საქმე, მიუსაჯა ს. ი. ფილიმონოვს 3 წლით და ი. ა. ნოვიკოვს 2 წლით პატიმრობა.

გარდა ამისა, 1941 წლის 10 თებერვლის ბრძანებულების დარღვევისათვის აღძრულია სისხლის სამართლის დევნა სხვადასხვა საწარმოთა ბევრი სხვა მუშაკის წინააღმდეგ. (საკდესი).

## ვ. მაიაკოვსკის ხსოვნის უკვდავსაყოფად

(„კომუნისტის“ კორ.)

ქუთაისის ყოფილი გიმნაზიის კედელზე ამ დღეებში გააკრეს მემორიალური დაფა შემდეგი წარწერით:

„ვ. ვ. მაიაკოვსკი—ჩვენი საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი—სწავლობდა აქ, ქუთაისის ვაჟთა კლასიკურ გიმნაზიაში, 1902-1906 წლებში. აქტიურ მონაწილეობას იღებდა მოწაფეთა გაფიცვებსა და დემონსტრაციებში 1905 წელს“.

გ. ყურაშვილი

## ხალხური შემოქმედების გამოფენა

საქართველოს ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლის ინიციატივით მოეწყო ქართული ხალხური შემოქმედების ნიმუშების რესპუბლიკური გამოფენა, რომელიც მიძღვნილია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი.

გამოფენა ღიაა დილის 10-იდან საღამოს 5 საათამდე და საღამოს 8-იდან ღამის 11 საათამდე. მახარაძის ქ. № 8—ხალხური შემოქმედების ცენტრალური სახლი.

შესვლა თავისუფალია.

## ნორჩ მუსიკოსების კონცერტი

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავის აღსანიშნავად მუსიკალური ათწლედი მართავს საჩვენებელ კონცერტს. საქ. ფილარმონიის ორკესტრის თანხლებით (დირიჟორი—ო. დიმიტრიადი). კონცერტში მონაწილეობას მიიღებენ ფრიადოსნები: ამირეჯიბი, ილასენკო, იაშვილი, კორსაველი, ქავრიშვილი, ჩხეიძე, ცინცაძე და სხვ.

პროგრამაშია კლასიკოსების და საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

კონცერტი შესდგება 28 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში.

## ხალხური სიმღერების ახალი გამოცემები

სახელგამმა გამოსცა რესპუბლიკის სახალხო არტისტის, ორდენოსანი კომპოზიტორის კ. ფოცხვერაშვილის მიერ დამუშავებული ქართული ხალხური სიმღერები—ორი სიმღერა დიდ სტალინზე, სიმღერა ქართველი ხალხის სახელოვან შვილზე—ლ. პ. ბერიაზე და ფართოდ გავრცელებული „სულიკო“ და „ციცინათელა“. (საკდესი).

## აკადემიკოს ა. ვ. პალადინის მოხსენება

1 მარტს, საღამოს 7 საათზე, აკად. ი. ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში (მთის ქ. № 1, უნივერსიტეტის შენობა) შესდგება აკად. **ა. ვ. პალადინის მოხსენება „კუნთის მოქმედების ბიოქიმია“.**

დასწრება თავისუფალია.

## ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლში

28 თებერვალს, საღამოს 8 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის ლ. კეცხოველის სახელობის პარტიული პროპაგანდის სახლის სალექციო დარბაზში შესდგება პროფესორ ბუდილევის ლექცია რუსულ ენაზე, საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის ლექციის ციკლიდან. თემა: **„ბოლშევიკური პარტიის კურსი შეიარაღებული აჯანყების მომზადებისაკენ. პარტიის VI ყრილობა“.**

## რადიოგადაცემა დღეს

14.00 — გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის — „ბედნიერი საქართველო“; 14.28 — ლიტერატურული გადაცემა რუსულ ენაზე — „ორდენოსანი საქართველოს დედაქალაქი თბილისი“; 16.50 — გადაცემათა პროგრამა ქართულ და რუსულ ენებზე; 17.00—გადაცემა პიონერთა და მოსწავლეთათვის ქართულ ენაზე — „ედისონი“; 17.45—საზოგადოებრივ - პოლიტიკური გადაცემა; 18.00 — კონცერტი; 18.30—„უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება ქართულ და რუსულ ენებზე; 18.58 — დროის შემოწმება; 19.20 — უსსრ სახალხო არტისტის ორდენოსანი მიხეილ დონცის და უსსრ დამსახურებული არტისტის ნატალია ზახარჩენკოს გამოსვლა; 20.00—უკანასკნელ ცნობათა საღამოს გამოშვება; 20.30—კონცერტი; 21.00 — სსრკ უმაღლესი საბჭოს მე-8 სესიის მასალები; 22.06—ძმები შანიძეების სიმებიანი კვარტეტის გამოსვლა; 22.50 — კონცერტი; 23.30—კონცერტ-ესტრადა; 24.00 — უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება ქართულ ენაზე; 00.30—უკანასკნელ ცნობათა ღამის გამოშვება (მოსკოვიდან)

## დღეს თეატრებსა და კინოებში

**თეატრებში:** საოპერო — „აბესალომ და ეთერი“ (1 აბ. მე-9 წარმ.), **რუსთაველის** სახელობის — „გიორგი სააკაძე“, **მარჯანიშვილის** სახელობის — „ნაპერწკლიდან“, **მუსკომედია** — „ხაჯარათი“. **სახკულტურის ქართული თეატრი** — „სტუმარ მასპინძლობა“, **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „პატარა მეომრები“. (მე-37 აბ.), **გრიბოედოვის** სახელობის — „კრემლის კურანტები“.

**კინოებში.** **რუსთაველის** სახ.—„ქარი აღმოსავლეთიდან“, **დღისით** — „შვიდი მამაცი“, **ოქტომბერი** — „ქარი აღმოსავლეთიდან“, **დამკვრელი** — „გზაში“, **დღისით** — „მიტკა ლელიუკი“. **კომკავშირელი** — „წითელი ეშმაკუნები“, **სპარტაკი** — „სუვოროვი“ **ლუქსემბურგის სახ.** — „გზაში“, **ბერიას სახ. კულტურის სახლი** — „მეხუთე ოკეანე“, **26 კომ. სახ.** — „თოფიანი კაცი“, **კომინტერნი** — „ქალი ხიდობნიდან“ **განთიადი** — „სუვოროვი“, **წითელი არმიის სახლი** — „კაპიტან გრანტის შვილები“, **ვოროშილოვის სახელობის კლუბი** — „მუსიკალური ისტორია“, **მეცნიერება და ცოდნა** — „მაქსიმ მაქსიმიჩი“, **საზ. კვების კავშირის კლუბი** — „იაკობ სვერდლოვი“.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

---

**რუსთაველის სახელობის ლენინის ორდენოსანი**
**სახელმწიფო თეატრი**
1940-41 წ. წ. სეზონი.

| 28 თებერვალს | 1 მარტს | 2 მარტს |
|---|---|---|
| **გიორგი სააკაძე** | **ოტელო** | **უდანაშაულო დამნაშავენი** |

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

---

**ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს საყურადღებოდ.**

**საწარმოებისა, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის იურიდიული მომსახურების განხორციელების მიზნით საკავშირო იუსტსახკომის ბრძანების საფუძველზე**

ყველა იურიდიულ კონსულტაციებს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ მიცემული აქვთ წინადადება, რომ დაწესებულების, წარმოებისა და ორგანიზაციის მოთხოვნილების მიხედვით იურ. მომსახურებისათვის მიუჩინონ მათ პერსონალურად მოთხოვნილი ადვოკატი იმ შემთხვევაში, თუ ამას აუცილებლად მოითხოვს წარმოება-დაწესებულების ინტერესები.

საქ. ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის
თავმჯდომარე ლომთათიძე.

61

---

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

28 თებერვალს
1 აბ. მე-9 წარმ.
**აბესალომ და ეთერი**

1 მარტს
მე-2 აბ. მე-9 წარმ.
**დაისი**

2 მარტს
მე-5 აბ. მე-8 წარმ.
**მთების გული**

დასაწყისი საღამოს 8 ს.

---

**კ. მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი**
1940-41 წ. წ. სეზონი

28 თებერვალს
**ნაპერწკლიდან**

1 მარტს
**სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**
დასაწყისი სად. 8 ს. და 30 წ.

2 მარტს
**სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი**
დასაწყისი დღის 12 ს.

---

მეუღლე ლიდა, შვილი თინა, სიდედრი მარიამ იუწყებიან

**ვლადიმერ იოსების-ძე გეგენეიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/III ქუთაისში, ბაღდათის, 3. 10935

---

მშობლები ნინო, შალვა, ძმა არჩილ ჩიხლაძეები იუწყებიან, რომ 28/II 7 ს., ნინოშვილის ქ. 11, დანიშნულია

**დავით შალვას-ძე ჩიხლაძის**

პანაშვიდი. 10915

---

ქმარი რაჟდენი, შვილები აკაკი, ანგელინა, რძალი ანიკო, შვილიშვილი ლაურა ფანჯავიძეები იუწყებიან საყვარელ

**სინო (ირინე) არტემის-ასულ ფანჯავიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 2/III ვაშლოვანის ქ. № 1, 3 ს. და 30 წ. კუკიის სასაფლაოზე.

---

შვილები ვანო, კოლია, ვარვარა, ტატო, ბუცუ, თამარ, რძლები ნადია, თამარ, სიძე სერგო ჩხიკვაძე, შვილიშვილები იუწყებიან

**ნატალია ვასილის-ასულ ბეროძის**

გარდაცვალებას. 10932

---

და თამარ, ძმა გრიგოლ, ბიძები რაჟდენ, სანდრო, ლავრენტი ცუცქირიძეები ოჯახებით იუწყებიან

**ნინო ცუცქირიძე-რამიშვილის**

გარდაცვალებას. 10926

---

საფაროვი, კილურაძე, დევდარიანი, სულთანიშვილი, ლორთქიფანიძე, რჩეულიშვილი, ნატროშვილი, იუწყებიან

**მიხეილ ჭელიძის**

გარდაცვალებას. 10937

---

ცოლი პელაგია, შვილები ცინუკი, ნელი იუწყებიან, რომ 2/III დღის 2 საათზე კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია

**დავითი (ფუხული) კირილეს-ძე დადიანის**

სამოქალაქო პანაშვიდი.

---

მეუღლე ანტონ, შვილები ლენტორ, გრიშა, ალექსანდრე, ნელი, ნინო ქმარშვილით, რძლები ვერა, ქენია, ფაშუტა იუწყებიან, რომ

**ელუკი ნადარეიშვილის**

პანაშვიდი დანიშნულია ონტოფოში 2/III. 10906

---

დედა ბაბილინა, ქეთო შვილებით, სერგო ხიდიშელი, ოთარ, კოტიკო მიქაძეები, ძმები მიშა, გოგიტა, ალიოშა ცოლშვილით იუწყებიან, რომ 2/III 1 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია

**დავით და ქეთო მაჭავარიანების**

პანაშვიდი. 10925

---

მეუღლე ნინო, შვილები ვახტანგ, ნელი, რძალი მარგარიტა იუწყებიან

**გიორგი კონსტანტინეს-ძე ცაავას**

გარდაცვალებას. გამოსვენება 2/III 4 ს. ერისთავის 14, ვაკის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. 10928

---

მეუღლე მარიამ, შვილი მარო, სიძე ვლადიმერ მელია შვილებით ლამარათი, ლეილათი იუწყებიან

**გიორგი სიმონის-ძე მამულაშვილის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 28/II, 1/III 7 ს. გამოსვენება 2/III 4 ს. შრომის, 8. 10936

---

მშობლები ლასო, სონა, ძმები ანდრო, დავით, კონსტანტინე, დები ნადია, ლუბა, სიძეები ვ. ბუხნიკაშვილი, ტ. გაჩეჩილაძე იუწყებიან

**ვერა ნიორაძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 2/III ზესტაფონში. მარქსის I შესახ., 1. 10917

---

ცოლი სირმა, შვილები გრიშა, ტრიფონ, ბიკენტი, ბიძინა, ლიუდია, რძლები ვარა, შურა, ვენერა, სიძე ვ. თედორაძე იუწყებიან

**მიხა ქრისტეფორეს-ძე ჭელიძის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1/III ჭელიაღელეში. 10921

---

მეუღლე მარო, შვილები ინეზა, ჯუტუ, ძმები ლადო, პართენ ცოლშვილით, დები, სიძეები იუწყებიან, რომ 2/III 4 ს. კომინტერნის, 5, დანიშნულია

**ივანე სოლომონის-ძე ქარაზანიშვილის**

პანაშვიდი. 10933

---

დედა ლიდა, დები თამარ, ნინუცა, ცაცილია, სიძე ს. ჯოხაძე, ბიძა იასონ ცოლშვილით იუწყებიან, რომ 2/III ს. ქვიანში დანიშნულია

**ქეთო არტემის-ასულ ხალვაშის**

პანაშვიდი. 10916

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა, № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი რედაქტორის — 3—62—26; პ/მგ რედაქტორის მოადგილე — 3—63—03; პასუხისმგებელი მდივნის —3—08—67; პ/მგ. მდივნის მოადგილისა — 3—06 88; განყოფილებებისა: პარტიული და პროპაგანდის — 3—81 84; სასოფლო სამეურნეო — 3—73—40; ეკონომიურისა და განათლება - ჯანმრთელობის —3—80—83; ლიტერატურისა და ხელოვნების და ინფორმაციის— 3—80—84; სამხედრო — 3—57—61; წერილების — 3—73 24; პ/მგ მორიგისა და გამომშვების 3—81—65; გამომცემლობის — 3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ., № 28. 1 უე 8908